პროლეტარებო უფელა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 162 (12076)
ოთხშაბათი, 19
1961 წ.
გამოცემის 42-ე წელი

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადაზე ავაშენოთ ახალი სკოლები

ექვს კვირაზე ცოტა მეტი დრო დარჩა იმ დღემდე, როცა სკოლის ზარი გვაუწყებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას. საბჭოთა ბავშვები ჯერ კიდევ ახალ ძალღონეს იკრებენ პიონერთა ბანაკებსა და ბავშვთა ჯანმრთელობის კერებში, აწყობენ წარმტაც ტურისტულ ლაშქრობებს, ხოლო ათეულ ათასობით სკოლა უკვე ემზადება თავისი ნორჩი აღსაზრდელების მისაღებად.

არაფერს არ იშურებს ჩვენი სოციალისტური სამშობლო მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლებისათვის. ეს ჭეშმარიტად დედობრივი ზრუნვა ბავშვებისათვის მკაფიო გამოხატულებას პოულობს სასკოლო მშენებლობის უმაგალითო გაქანებით. ჩვენს ქვეყანაში არც კი არის ისეთი ქალაქი ან რაიონი, სადაც არ შენდებოდეს სკოლების ახალი ნაგები და კეთილმოწყობილი შენობები. მხოლოდ შვიდწლედის დაწყების შემდეგ განვლილ დროში საბჭოთა ბავშვებმა მიიღეს იმდენი ახალი სკოლა და სკოლა-ინტერნატი, რომ იქ მეცადინეობა შეეძლებოდა რეკოლუციამდელი რუსეთის ყველა მოსწავლეს.

მაგალითად, ბელორუსიაში ამ პერიოდში სახელმწიფო სახსრებით აშენდა ასი შენობა ორმოცდაოთხი ათასი მოსწავლისათვის. აშენდა და გაიხსნა სამოცდაოთხი სკოლა-ინტერნატი. ამას გარდა, სახალხო მშენებლობის მეთოდით აგებულია ათას ხუთასზე მეტი შენობა თითქმის ას ორმოცდაათი ათასი ბავშვისათვის, სასი ინტერნატი, ბევრი სასწავლო სახელოსნო.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ირჩენენ ყურადღებას სახალხო განათლების საჭიროებებისადმი და ამასთან ახორციელებენ ყველა ღონისძიებას, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ და გაფართოონ ჩვენი სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა. წლითიწლობით იზრდება სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი სასკოლო მშენებლობისათვის. ათასობით სკოლა, ინტერნატი, სასწავლო სახელოსნო შენდება ახლა კოლმეურნეობების, საზოგადოებრიობის ძალებით. ამოცანა ის არის, რომ გონიერულად, უყირაოიანად გამოვიყენონ ეს შესაძლებლობანი, ვაშენოთ სწრაფად, იაფად, კარგად. მაგრამ მშენებლები ყველგან როდი ასრულებენ წარმატებით თავიანთ დავალებებს. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა მხოლოდ 88 პროცენტით შეასრულეს სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა.

მიმდინარე წელს მოსწავლეებმა უნდა მიიღონ შენობები, რომლებშიც 880 ათასზე მეტი მოსწავლის ადგილი იქნება. პირველ ექვს თვეში საექსპლოატაციოდ გადაეცა იმდენი სკოლა, რომ იქ ერთ ცვლად მეცადინეობა შეუძლია 87 ათასზე ნაკლებ ბავშვს. ეს მხოლოდ ცოტათი აღემატება ნახევარი წლის გეგმის მესამედს. ყველაზე ცუდად არის საქმე აზერბაიჯანში, ესტონთსა და ლიტვაში. ამ რესპუბლიკებმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა უნდა გახდონ, რომ აანაზღაურონ დაკარგული დრო.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობა უკბეთში. „პრავდამ“ უკვე აღნიშნა, რომ ამ რესპუბლიკაში სკოლების მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად წარმოებს. აპრილში უკბეთის სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც აღიარა კრიტიკის სისწორე და დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი. მას შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა, უკბეთის მშენებლები კი კვლავ ვალში არიან ბავშვების წინაშე. სკოლების მშენებლობისათვის წლის პირველ ნახევარში გამოყოფილი სახსრები მათ მხოლოდ 71 პროცენტით აითვისეს.

უამრის მხარის სოფლის მეურნეობის კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — ნაკლები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ახლანდელი გეგმა კი ხომ გაცილებით უფრო დიდია. ამის შედეგად 1 ივლისისათვის სამშენებლო ორგანიზაციებმა სკოლა-ინტერნატებს დააკლეს ორასი ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად ბევრ სკოლასა და ინტერნატს აშენებენ კოლმეურნეობები, საზოგადოებრიობა. ყუბანში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კოლმეურნეობების, საზოგადოებრიობის დაბანდებებმა სასკოლო მშენებლობისათვის მნიშვნელოვნად გადააჭარბა სახელმწიფო ასიგნობებს. ასეთი ფაქტები შეგვიძლია უამრავი მოვიყვანოთ.

სამწუხაროდ, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სასოფლო საბჭოებს, რომლებიც სკოლებს, ინტერნატებსა და სასწავლო სახელოსნოებს აშენებენ, ყოველთვის როდი აქვთ ყველა საჭირო მასალა და საპროექტო დოკუმენტაცია. აი აქ ესაჭიროებათ მათ საქმიანი დახმარება.

ჯერ კიდევ შარშან ალტაის მხარის შარჩინოს რაიონის კოლმეურნეობა „პარტიზანსკი შტაბმა“ გადაწყვიტა თავისი ძალებით აეგო რვაწლიანი სკოლის ახალი შენობა. არტელის გამგეობამ ამისათვის გამოყო სახსრები, მიწის ნაკვეთი, დაამზადა საშენი მასალები, მაგრამ სამშუალოები დღემდე არ დაწყებულა. მუშობას აყოვნებს ტიპური პროექტის უქონლობა. ვის არ მიმართეს კოლმეურნე მშენებლებმა! მისწერეს სახალხო განათლების სამხარეო განყოფილებას, რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს, პროექტი კი მაინც არ არის. ამ ალმაშფოთებელი შემთხვევის შესახებ წერს თავის წერილში „პრავდის“ რედაქციას სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე ამხ. მონასტირეგი. ოქმი არ უნდა, რომ ასეთ გაჭიანურებას შეუძლია დაღუპოს კარგი ინიციატივა.

მეცადინეობის დაწყებამდე შედარებით ცოტა დრო დარჩა. მაგრამ ამ ვადაშიც შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს. სკოლებისა და ინტერნატების მშენებლებმა ფაროდან უნდა გაშაოონ სოციალისტური შეჯიბრება ასამუშავებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადამდე გადაცემისათვის, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სახსრებისა და მასალების ეკონომიისათვის, რათა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სამშობლოს წინაშე.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების პირდაპირი მოვალეობაა კონტროლი გაუწიონ ყველა სასკოლო მშენებლობას, ყოველდღიურად გაუწიონ დახმარება და მიაქციონ ყურადღება. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს განზე ვერ გაუდგებიან ვერც კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, ვერც მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღმავლობით ეგებადება კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად. ბევრ შრომითს სურს, რომ ეს ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითმა დაწესებულებებმა სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, დამსახურებული ავტორიტეტი და საბჭოთა ადამიანების პატივისცემა მოიპოვეს. ბევრ შობელს სურს სკოლა-ინტერნატში ასწავლოს და აღზარდოს თავისი ბავშვები. არა გვგონია, მათ კეთილი სიტყვით მოიხსენიონ ის ადამიანები, რომლებიც ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ სკოლების საერთო საცხოვრებლების შენებლობას. წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს მხოლოდ 82,6 ათასი

ПРАВДА

18 ივლისის მოწინავე

მოწინავეთა თათბირზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ საჭიროა ვაშენოთ იქ იმდენი სკოლა და ინტერნატი, რომ ყველა ბავშვი სწავლობდეს. მაგრამ სასკოლო მშენებლობის ახლანდელი ტემპების პირობებში არ შეიძლება მოგვლოდეთ, რომ იგი წარმატებით დამთავრდება უახლოეს ხანში. საკმარისია ითქვას, რომ წლის დამდეგიდან ამ მხარეში საექსპლოატაციოდ არ გადაუცია არც ერთი ახალი სკოლა. ასეთი დამოკიდებულება ყამირის დამპყრობლებისა და მათი ბავშვების კულტურული საჭიროებებისადმი სახელს როდი უხვეჭს ამ მხარის ხელმძღვანელებს.

პარტიამ დასახა ამოცანა ყველა მოსწავლე გადავიყვანოთ ერთ ცვლად მეცადინეობაზე. მიუხედავად ამისა, სასკოლო მშენებლობა მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში იწვევს შიშს, რომ სექტემბერში შესაძლოა ზოგ ადგილას გაიზარდოს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც მეორე და მესამე ცვლაში მეცადინეობენ. მაგალითად, ასეთი მდგომარეობა შეიქმნა გორკის ოლქში. აფხაზეთში დასახული იყო 138 სკოლიდან, რომლებიც ორ ცვლად მეცადინეობენ, 1 სექტემბრიდან ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადაეყვანათ 32 სკოლა, მაგრამ ამ მცირე გეგმასაც კი ჩაშლის საფრთხე მოელის, რადგანაც მთელი რიგი სკოლების მშენებლობა აქ შეუწყარებლად ჭიანურდება.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში სკოლა-ინტერნატების შემდგომ განვითარებას. ამ ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითმა დაწესებულებებმა სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, დამსახურებული ავტორიტეტი და საბჭოთა ადამიანების პატივისცემა მოიპოვეს. ბევრ შობელს სურს სკოლა-ინტერნატში ასწავლოს და აღზარდოს თავისი ბავშვები. არა გვგონია, მათ კეთილი სიტყვით მოიხსენიონ ის ადამიანები, რომლებიც ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ სკოლების საერთო საცხოვრებლების შენებლობას. წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს მხოლოდ 82,6 ათასი

ღირსეული შეხვედრა სკკპ XXII ყრილობას

შეენთვის, ჩემო საშოგლოვ!

ბანჩხუთი. (საკ. კორ). აცანის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი ერთ-ერთი პირველია რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებს შორის, რომელიც სასახელოდ ანალდებს შეჯიბრებით ნაკისრ ცვლილ ამალდებულებას. მაისში 60 ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა, გეგმა კი 55 ტონას ითვალისწინებდა. ივნისის საწარმოო დავალება 20 ივნისისათვის 110,9 პროცენტით გაანალდა და 10 ტონაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

ბრიგადებს შორის ყველას გაუსწრო კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ბ. ჩხაიძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ივნისის დავალება 125 პროცენტით შეასრულა. ყოველდღიური საწარმოო დავალების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან ფაბრიკის წარჩინებული ადამიანები ბ. ჩხაიძე, რ. კოტანინა, ვ. ჩისტოვა, ლ. ჩხაიძე და სხვ.

ხაშური. (საკ. კორ.). სალიანდაგო დისტანციის კოლექტივი ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებს პარტიის XXII ყრილობას. ხაშურელმა მელიანდაგეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის დავალება. დისტანციის 33 ბრიგადიდან თერთმეტმა უკვე მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება.

შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან უფროსი მუშები მ. ბლიაძე, თ. სუხიაშვილი, ლიანდაგის შემკეთებლები ა. ელბაქიძე, ზ. ნოზაძე, ვ. იკოევი, დ. ურიადმყოფელი, ზეინკალი ა. ხაჩიძე, კალატაზოვი, ვ. გელაშვილი და სხვები.

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). საქვეყნოდ ცნობილია ქართული ღვინო „საფერავი“, რომელსაც საერთაშორისო და საკავშირო გამოფენებზე ოქროს ოთხი დიდი medaლი აქვს მიკუთვნებული. თავისი საუკეთესო ხარისხით გამოირჩევა აგრეთვე კონიაკი „ვარციხე“.

აღნიშნული ღვინისა და კონიაკის მასალებს ვარციხის ღვინის ქარხნის კოლექტივი ამზადებს. ვარციხელმა მეღვინეებმა დიდი გადამეტებით შეასრულეს ნახევარი წლის დავალება და გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს 104.600 მანეთის პროდუქცია.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს ბრიგადირმა ნ. ლაზარაშვილმა, მუშებმა ო. ორბელაძემ, ჟ. შამოვალოვამ, ნ. შვანგირაძემ და სხვებმა.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის მზა ნაწარმის საწყობებში კონსერვების მოცემა. მურაბა, კომპოტი, ჯემი, კიტრის მწნილი... რა პროდუქციას არ ნახავთ აქ. იგი მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არა, დემოკრატიულ ქვეყნებშიც ივაჭრებენ.

გურჯაანელმა მეკონსერვეებმა, რომლებიც მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, ექვსი თვის საწარმოო დავალება დიდი გადამეტებით გაანალდეს, მარტო მეორე კვარტალში გეგმის ზევით 427 ათასი პირობითი ქილა კონსერვი გამოუშვეს.

მოწინავეენი ბევრნი არიან, მაგრამ მათგან მხოლოდ ნაწილს დავასახელებთ. ანტა ხეცაურიძე, ანგელინა ასკილაშვილი, თამარ ყალაბეგაშვილი, დალი გორხელაშვილი ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

დ. სეფიაშვილის ახალი წარმატება

წინანდელი. რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ცნობილი მეღორე დავით სეფიაშვილი სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებას — სახელმწიფოსათვის ასი ტონა ხორცის მიყიდვის შესახებ წარმატებით ანაღდებს.

მიმდინარე წლის იქვე თვეში მან რვაასი ღორის ნაცვლად გაასუქა 1001 სული და სახელმწიფოს მიპყიდა 763 ცენტნერი ღორის ხორცი. ახლა ასუქებს 400-მდე სულს.

სეფიაშვილმა გადაწყვიტა ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს XXII ყრილობის გახსნის წინადღეებში.

საჭირო ფინსვლა, საჭირო ფინვიხედეგოდეთ, საჭირო ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მუშეობლობის კარგად მოფიქრებული და უურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.



ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30 გვ. 488.

კრეფენ აგვისტოს ანგარიშში

ქობულეთი. (საკ. კორ.). ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 16 ივლისს 15 დღით ადრე შეასრულა ჩაის კრეფის სამი თვის გეგმა. მოიკრიფა და წარმოებას ჩაბარდა 1.858 ტონა ხარისხოვანი ნედლეული ნაცვლად 1.848 ტონისა.

ჩაის კრეფაში დაწინაურდა მეურნეობის მეხუთე აგროგანყოფილება, რომელსაც აგრონომი შუქრი ხინიკაძე ხელმძღვანელობს. ამ აგროგანყოფილებამ მოკრიფა 325 ტონა ნაცვლად 308 ტონისა.

მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა ივლისში მოკრიფოს 300 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი აგვისტოს ანგარიშში.

სულ ცოტა 120 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი ივლისის გოლოს

— ასეთია ამოცანა, ამხანაგო მეჩაიეებო!

ხობი. (საკ. კორ.) ბევრი მიმდევარი პყავს ზუგდიდელ მეჩაიე გოგონას მერი ქარდავას. მერის თაოსნობამ აღაფრთოვანა ათასობით მეჩაიე. მათ შორის აღსანიშნავია ხობის რაიონის სოფელ საკიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მ. თოლორდავა.

მამაცი ქალიშვილი

ამ მამაც გოგონას სოფელში ყველა იცნობს, იცნობენ როგორც შრომისმოყვარეს და უნარიანს, რომელსაც მთელი გულით შეჰყვარებია თავისი საქმე.

საქმე კი ახლა საკმაოდ ბევრია. ზღვასავით მოლივლივე პლანტაციებში ჩაის ფოთოლი უხვად შემოვიდა. ამა უქმად რა გაჩერებს გამრჯე გოგონას. მას ვალდებულება აქვს ნაკისრი 4 ტონის ნაცვლად მოკრიფოს და მრეწველობას ჩაბაროს 4,5 ტონა „მწვანე ოქრო“.

ახლა ყოველდღიურად 70-75 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის კრეფს, გეგმა კი 30 კილოგრამს ითვალისწინებს. მისი მუშაობით კმაყოფილი არიან კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

— ჩვენი შუქურა, — ღიმილით ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხუნჯუა, — მუშაობაში როდი ჩამორჩება ზუგდიდელ მერი ქარდავას. იგი ჯარასავით ტრიალებს პლანტაციებში. ვალდებულებას გადამეტებით მოკრეფს 2 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს. ჩვენი კოლმეურნეობა რაიონში ერთადერთია, რომელმაც გეგმით 516 ტონა ჩაი უნდა მოკრიფოს. ჩვენ კი გადავწყვიტეთ 718 ტონა „მწვანე ოქრო“ ჩავაბაროთ სამშობლოს.

სურათზე: მ. თოლორდავა.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

165.000 ტონა ჩაისათვის!

ენგური — გრატსკი

ბრატსკი, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის ქვაბულში მოეწყო ჰიდროშენებელთა მეგობრული შეხვედრა მომმე საქართველოს წარმომადგენლებთან — სატვირთო მანქანის „კოლხეთის“ ეკიპაჟთან, მასთან, რომელმაც ჩამოიტანა რესპუბლიკის უდიდესი შენებლობის — ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივის წერილი შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ.

შეჯიბრების ხელშეკრულების მიღებისადმი მიძღვნილ მიტინგზე სტუმრებს გადაეცათ სპასუხო წერილი.

ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს წელს ვადამდე ამშუამონ პირველი ოთხი ჰიდროაგრეგატი.

საგჯოთა დელეგაცია ახალგაზრდოგის ფორუმზე

მოსკოვი. 17 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა წარდგენებით განისაზღვრა შემადგენლობა საბჭოთა დელეგაციისა ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმზე. დელეგაციას უხელმძღვანელებს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პ. პავლოვი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, სტუდენტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, კომკავშირული მუშაკები. დელეგატებს შორის არიან სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე პ. ნ. რეშეტოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ატომური ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ვ. ი. ვოლოსოვი, „მოსმშენის“ № 3 ტრესტის № 15 სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ბ. ვ. მასლენიკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ნ. მერგელიანი, კინომსახიობი ტ. სამოილოვა, სტალინოს ოლქის დონმტროვის სახელობის № 5-6 შახტის გვირაბამყვანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ა. სევერინოვი, ყარაღანდის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კიევსკის“ დირექტორი ა. ფ. ხრისტენკო, პოეტი ჯ. ა. ჩარკვიანი, სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გ. შევჩენკო და სხვები.

საბჭოთა დელეგატები მონაწილეობას მიიღებენ კომისიათა მუშაობაში. ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმის გახსნის დღეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პ. პავლოვი გააკეთებს მოხსენებას — „ახალგაზრდობა, ურთიერთგაგება, თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა“. ამავე თემაზე მოხსენებებს წაიკითხავენ იტალიის სტუდენტთა ეროვნული კავშირის წარმომადგენელი და „ბჰარატ ნოვჯა სამაჯის“ (ინდოეთი) ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ფერომდნოგელთა საკავშირო სკოლა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქარხანათშორისო საკავშირო სკოლა, რომელიც აქას წინათ მოეწყო, 22 მეტალურგმა გაიარა. მასში ზესტაფონიდან მონაწილეობდნენ ს. ქლიბაძე და ი. არაბული.

სკოლის მსმენელები იყვნენ სეროვის, ნოვოკუზნეცკის, ჩელიაბინსკის, აქტიუბინსკისა და ზაპოროჟიეს ფერომშენადნობთა ქარხნებში. ისინი დაწვრილებით გაეცნენ ლითონის დნობის ტექნოლოგიურ პროცესებს, ავტომატიზაციამექანიზაციას, მეტალურგიული მრეწველობის ეკონომიკის საკითხებს. რამდენიმე დღე დაჰყვეს მოსკოვში. აქ მეტალურგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გამოჩენილმა სპეციალისტებმა წაიკითხეს ლექციები საბჭოთა კავშირში ფეროშენადნობთა განვითარების, ახალი ტექნიკის დანერგვის, ლითონის თვითღირებულების შემცირებისა და სხვა საკითხებზე.

შეძაჯამებელ მეცადინეობაზე, რომელიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გაიმართა, მსმენელებმა და ქარხნის წარმომადგენლებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს.

ეჭვიანობა

პოლონეთი ელის გაგარინს

ვარშავა, 18 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით 20 ივლისს ვარშავაში ჩამოდის ი. ა. გაგარინი. მოუთმენლად ელიან პოლონეთის მშრომელები კოსმოსის სახელგანთქმულ გმირთან შეხვედრას. პოლონეთის ყველა კუთხიდან მოსდის საბჭოთა კოსმონავტს მიწვევა ესტუმროს მათ. ვარშავის ქუჩებში, რომლებიც ირთვება პოლონეთის განთავისუფლების მე-17 წლისთავის დღესასწაულისათვის, გაჩნდა გაგარინის მრავალი პორტრეტი. საბჭოთა კოსმონავტის ჩამოსვლისათვის კულტურისა და მეცნიერების სასახლის მოედანზე გაიხსნება დიდი გამოფენა „კოსმოსის დაპყრობა ადამიანის მიერ“, რომელიც ახახავს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდ წარმატებებს კოსმოსური ფრენის განხორციელებაში.

განსაკუთრებული ზეიმით ემზადებიან ი. გაგარინის ჩამოსვლისათვის ზელიონაია გურაში ახალგაზრდობის სრულიად პოლონეთის მომავალი შეკრების მონაწილენი. 7 ათასმა ჭაბუკმა, რომლებიც აქ შეიკრიბებიან, გადაწყვიტეს მოაწყონ „გაგარინის დღე“.

პოლონეთის ყველა გაზეთი აქვეყნებს დღეს საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილისადმი მიძღვნილ მასალებს. „ჩვენ მოველით იურის, — წერს „ტრიბუნა ლუდუ“, — აღტაცებით, გულითადობით და უდიდესი სიმპათიით“.

ი. გაგარინის რეკორდები დაამტკიცეს

პარიზი, 18 ივლისი (საკდესი). საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის ასტრონავტიკულმა კომისიამ დღეს აბსოლუტურ მსოფლიო რეკორდად დაამტკიცა საბჭოთა კოსმონავტი მფრინავის საბჭოთა კავშირის გმირის ი. ა. გაგარინის მიღწევები მისი კოსმოსური ფრენის დროს 1961 წლის 12 აპრილს.

მსოფლიო რეკორდებად დამტკიცებულია: თანამგზავრი ხომალდის „ალმოსავლეთის“ ფრენის ხანგრძლივობა — 108 წუთი, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 327 კილომეტრი და მაქსიმალური წონის ატანა (კოსმონავტი მფრინავის წონის ჩათვლით) — 4.725 კილოგრამი.

ა. ა. გრომიკომ მიიღო ჯ. მაკლოი

მიმდინარე წლის 18 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე განიარაღებისა საკითხებში ჯონ მაკლოი.

საუბრის დროს განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკებასთან განიარაღების შესახებ.

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა მორის ტორეზი

18 ივლისს გემ „ლატვიით“ მარსელიდან ოდესაში ჩამოვიდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი მორის ტორეზი და საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი ჟანეტა ვერმეში და მათი ოჯახის წევრები.

ამხ. მ. ტორეზი ოჯახითურთ საბჭოთა კავშირში გაატარებს თავის შვებულებას. (საკდესი).

დოქტორი კვამე ნკრუმა კიევში ჩავიდა

კიევი, 18 ივლისი. (საკდესი). დღეს ტაშკენტიდან უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდნენ განის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური დოქტორი კვამე ნკრუმა და მისი თანმხლები პირები.

გუშინ პლანტაციებში

წულუკიძე. ჩაებნენ რა სკკპ XXII ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაიონის მეჩაიეები ყოველდღიურად აძლიერებენ ჩაის კრეფის ტემპს. 18 ივლისისათვის ჩაის კრეფის სამი თვის დავალება შესრულებულია გადაჭარბებით. 1815-ის ნაცვლად მოიკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 1824 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ქ. წულუკიძის კოლმეურნეობაში ცნობილმა მეჩაიემ **იზოლდა წოწონავამ** მოკრიფა 185 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, **დალი წივწივაძემ** — 72 კილოგრამი და დღიური დავალება სამმაგად შეასრულა.

ზუგდიდი. მოკრეფილია 12.464 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. შარშან ამავე დროისათვის რაიონში მოკრეფილი იყო 11.659 ტონა. სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში **გული ბატარაძემ** მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, **მარგო ქარდავამ** სოფელ რუხის კოლმეურნეობაში — 60 კილოგრამი.

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს მიპყიდეს 16 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 700 ტონით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდისათვის მოკრეფილ რაოდენობას. ამ დიდ ლაშქრობაში აფხაზეთის მეჩაიეებს დახმარებას უწევენ საქართველოს მთელი რიგი რაიონების მშრომელები, მოსწავლეები.

თვენახევარზე მეტია გალის რაიონის სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში იმყოფებიან ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და წალკის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებიც თავდადებით შრომობენ. ჩაის ფოთლის კრეფაში ბოლნისელებმა შარშანაც ისახელეს თავი, გეგმით გათვალისწინებული 147 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 178 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ბოლნისელებმა წელს იკისრეს მოკრიფათ 74 ტონა ჩაის ფოთოლი. ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდეს. უკვე მოკრიფეს 100 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“ და ამჟამად წარმატებით განაგრძობენ მუშაობას.

მოსწავლეთა შორის ჩაის კრეფაში დაწინაურდა და სახელი გაითქვა ბევრმა ახალგაზრდამ. მაგალითად ლამარა წოკლაურმა მოკრიფა 1.800 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი, ხოლო გურამ დუშაშვილმა — 1.650 კილოგრამზე მეტი. ქების ღირსი არიან აგრეთვე ც. ასანიძე, ა. ბალხანიშვილი, ი. ვალიმეილი, ა. ასანიძე, კ. ბაირამოვი და სხვები.

წარმატებით შრომობენ წალკის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის მოსწავლეები, რომლებმაც გადაჭარბებით გაანაღდეს დავალება, მოკრიფეს 55 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

წარმატებით ეხმარებიან ჩაის ფოთლის კრეფაში აჩიგგარის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები.

ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში უკვე მეორე თვეა შრომობენ გორის, ლაგოდეხისა და ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების მოსწავლეები. მათ უკვე მოკრიფეს 120 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

მეტი ჩაისათვის ლაშქრობა გრძელდება.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეჩაიეთა საიმედო დამხმარენი

ბანაკი. (საკ. კორ.). ბორის ძნელაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში დიდი პატივისცემით სარგებლობს ხანდაზმული მეჩაიე თეკლე ჩავლეშვილი, ათეული წლების მანძილზე იგი თავს დასტრიალებს „მწვანე ოქროს“ ბუჩქებს.

სახელგანთქმულმა მკრეფავმა დღემდე 4.060 კილოგრამი ჩაის ნედლეული ჩაბარა წარმოებას, წლიური დავალება კი 3.200 კილოგრამს ითვალისწინებდა.

თეკლე ჩავლეშვილს გადაწყვეტილი აქვს სეზონში სულ ცოტა 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს. მისი ნაყოფიერი შრომა ყველა მეჩაიისათვის საუკეთესო მაგალითია.

კარგი მაგალითი

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ასკანის ბორის ძნელაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში დიდი პატივისცემით სარგებლობს ხანდაზმული მეჩაიე თეკლე ჩავლეშვილი, ათეული წლების მანძილზე იგი თავს დასტრიალებს „მწვანე ოქროს“ ბუჩქებს.

სახელგანთქმულმა მკრეფავმა დღემდე 4.060 კ

კაცობრიობის რჩეული

ვაჟა-ფშაველას დაბადების მეასე წლისთავთან დაკავშირებით „კომუნისტის“ რედაქციამ გამოიჩინილ პოეტებს, მწერლებს, ლიტერატურათმცოდნეებსა და კრიტიკოსებს სთხოვა გამოეთქვათ თავიანთი აზრი ჩვენი სასიქადულო პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ ცნობილი რუსი ლიტერატორის კორნელი ზელინსკის წერილს.

კორნელი ზელინსკი

✦

რაღაც განსაკუთრებული გრძნობა მიპყრობს, როცა ვაჟა-ფშაველას ვკითხულობ. თითქოს იდუმალი რამ ამომეხსნას ან ძალზე შორეული წარსულის „გადაკარგულ სამყაროში“ აღმომჩინოს თავი. მდელვარების ამ გრძნობას უთუოდ ის იწვევს, რომ ვაჟას პოეზიის გმირთა სახეებში ადამიანი კაცობრიობის უმშვენიერეს სიზმრებსა ხედავს. ვაჟა-ფშაველა ჩვენში აღვიძებს თითქოსდა ცხრაკლიტულში მიმალულ ლტოლვას, გარდასულ ათასწლეულთა თუ მომავალ დღეთა ქვეცნობიერ ძახილს, ცხოვრების ვაჟკაცურ, ბუნებრივ და სისხლხორცეულ არსს.

შოთა რუსთაველის შემდეგ ვაჟა-ფშაველა ყველაზე ღრმა, ჩემი სულის ყველაზე მეტად ამაღელვებელი ქართველი მწერალია. ვაჟა მთაში დანთებული ცეცხლია, რომელიც თავისკენ გვიხმობს, ცივილიზაციის რკინით დაჭრილი, მაგრამ თავისი სილამაზითა და ცხოვრების სიმართლით უკვდავი თვალმშვენიერი ირმის ძახილია. ვაჟა-ფშაველა კითხვაა ჩვენი დროის წინაშე წამოჭრილი. ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვიცია პასუხი იმ სილამაზისათვის, რომელიც პოეტს შეუქმნია. იგი ეროვნული პოეტია საქართველოსი, მაგრამ მარტო საქართველოსი როდია. ვაჟა-ფშაველა, როგორც რალფ ემერსონი იტყოდა, „კაცობრიობის რჩეული“ ეკუთვნის.

მე არა ვარ საზომი ეპითეტების თაყვანისმცემელი (რამდენადაც ისინი ხშირად უფრო იერარქიას მიეკუთვნებიან, ვიდრე არსებითს). მაგრამ ვაჟა-ფშაველა ქართველი ხალხის ჭეშმარიტად დიადი განძია მსოფლიო მწერლობაში, მთელი კაცობრიული კულტურის განვითარებაში. ვაჟას პიროვნება თითქოს ორი ისტორიული ხანის მიჯნაზე დგას. ერთი შორეული წარსულია ჩვენი ბუნებრივი ყოფისა, ჩვენი ბუნებრივი კაცობისა, რუხო რომ ოცნებობდა, მეორე თვალისმომჭრელი ეპოქის მომავალია, როცა ეს ოცნება ხორცშესხმული, ახდენილი ჩანს, როგორც კომუნიზმის შუქი.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის (და თვით პიროვნების) განუმეორებელი მომხიბვლელობა ის არის, რომ იგი არაჩვეულებრივი ბუნებრივობითა და ძალით გვაგრძნობინებს იმ ცათაწვდილი მთებისა და ხეობების, ველ-მინდვრებისა თუ ტყეების სიცოცხლის ეშხსა და მშვენიერებას, სადაც ზაფხულობით ათასნაირი ბალახისა და ყვავილის სურნელს აფრქვევს ქარი, ხოლო ზამთრობით ქარბუქად ქცეული ხან ცის ლაჟვარდის ფერად დაჭერის და ხანაც დაფინისფრად შეიღებებს ხოლმე. იგი გვაგრძნობინებს ადამიანის ცხოვრების იმ საოცრად ინტიმური, თითქოსდა თვისტომური ურთიერთკავშირის სიმშვენიერესაც, რომელიც ადამიანს აქვს არა მარტო ცხოველებთან: ირმებთან, ცხვრებთან, ჯიხვებთან, ჯიქებთანაც და ცხენებთან, არამედ მცენარეებთანაც, მდინარეებთანაც და ფრინველებთანაც.

ვაჟა-ფშაველას მიერ ჩვენს გარშემო შექმნილი მთელი სამყარო საყოველთაოდ მისაღები, გასაგები ენით მეტყველებს. აქ ყველასა და ყველაფერს ესმის ერთმანეთისა: თევზსაც, ხესაც, კურდღელსაც, კაცსაც. და ამით თითქოს ცოცხლდება კაცობრიობის ისტორიამდელი მეხსიერება, ცოცხლდებიან ჯერ კიდევ საგვარეულო საზოგადოების ზნე-ჩვეულებანი და ფსიქოლოგია. ამდაგვარი მსოფლშეგრძნება წარსულის ბევრ დიდ პოეტს ჰქონია. და როს დანტეს „ჯოჯოხეთის“ ერთ-ერთ წრეში ვკითხულობ. ხეს ჩამოვატეხე ტოტი, რომელიც თვითმკვლელი კაცის ენით დამელაპარაკაო. ვიხსენებ ვაჟა-ფშაველასაც და სერგეი ესენინსაც. ჩვენი რუხი პოეტი ესენინიც ხომ ოცნებობდა **„прорасти глазами, как эти листья в глубину“.**

ვაჟა-ფშაველა ზომაზე მეტად იყო დაჯილდოებული ამ იდუმალი პოეტური ნიჭით. ვაჟას შეეძლო გულის სიღრმეში ჩაეხედა ფოთლებისათვის, ფესვებისათვის და ამოეცნო მშვენიერება სიცოცხლის ამ ზღვარდაუდებელი სამყაროსი, სადაც ყველაფერი ერთმანეთში გადადის, სადაც ყველაფერი ცოცხლობს და მეტყველებს... საჭიროა მხოლოდ კაცს შეეძლოს ბუნების ამ ხმის გაგონება. ვაჟა-ფშაველას გმირები (გოგოთური, კვარია, გაფრინდაული, ლუხუმი და თვით საკვირველი მინდოიც) ჭეშმარიტი რაინდნი არიან. თვითეული ის გმირი ვაჟკაცობის, კეთილშობილებისა და იმ მაღალ ადამიანურ თვისებათა განსახიერებაა, რომლებსაც აღნიშნავდა ყველა, ვისაც კი ძველ საგვარეულო საზოგადოებაზე უწერია (როგორც, მაგალითად, მორგანი ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებზე წერდა). მაგრამ ფშაველას გმირები ფეოდალურ-მემამულური წყობის რაინდნი კი არ არიან, არამედ გლეხურ-პატრიარქალური წყობისა.

ცხადია, ვაჟა-ფშაველას, რომელიც რომანტიკოსი იყო და პოეტურებდა ძველი ქართული ტომების (ფშაველის, ხევსურების) ზნე-ჩვეულებებს, ბევრი რამ ჩვენთვის უცხო გადმონაშთიც აღუნუსხავს. აქ ნახავთ სისხლის აღების წესს და საკმარისად მკაცრ კანონებს, რომლებიც პირველყოფილ საზოგადოებაში მოქმედებდნენ. მაგრამ პოეტი ყოველთვის პოულობს მძლავრ სიტყვას, რათა აღმაღლოს არა სისასტიკე და მახვილი, არამედ სიკეთე. აქ იწყება ლუხუმისა და ალპალას სახეთა მომხიბვლელობაც. თვით ადამის ტომის მტერი, ჯაგარაშვილი გველიც, დაჭრილ ლუხუმთან რომ მიხოხდება გლარჩნვით, კი არ კბენს, არამედ წყლულს ენით ულოკავს სამშობლოსათვის დაცემულ ვაჟკაცს, ასევეს წყალს ლაღის მთისასა და ადამიანივით ოხრავს.

რასაკვირველია, საგვარეულო საზოგადოების ცხოვრებაში, ძველი ხალხის პატრიარქალურ ურთიერთდამოკიდებულებაში ბევრი რამ იყო ველურიცა და მაუღებელიც. ამაზე ჯერ კიდევ ენგელსი წერდა. ზოგიერთი ჩვენთვის უცხო რამ მიანთა დანაკარგის საკითხიც. ამ დიდმა სიუჟეტური აუცილებლობის გამო ვაჟა-ფშაველას პოეზიაშიც აისახა. მაგრამ ვაჟას პოეზიის მარადუჭკნობი მნიშვნელობა და სიღრმე ის არის, რომ ადამიანში იგი მთელი თავისი უმშვენიერესი სიძლიერით აჩენს არა ჩამორჩენილს, არამედ ჭეშმარიტად ადამიანურსა და გმირულს. ვაჟა-ფშაველა მარადიული სიცოცხლის პოეტია და არა მომაკვდავის ან უკვე გარდასულისა.

კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიული განვითარების მანძილზე, მრავალი ათეული ათასწლეულის წინა, შორეული დროიდან, თვით მუსტიერის ხანიდან დაწყებული, როცა ჩამოყალიბება დაიწყო პირველყოფილმა თემურმა წყობილებამ, ადამიანებმა ბუნებისა და კაცის ურთიერთკავშირის ათასნაირი საფეხური განვლეს. ეს ხანგრძლივი გზა, ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანიდან, ქვის იარაღიდან და პირველი ცეცხლიდან დაწყებული დღემდე, ვიდრე ადამიანი კოსმოსში გაფრინდებოდა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც თანაზომიერი და განუხრელი მოძრაობა ზენით. ცივილიზაციის გზაზე ადამიანი იძენდა კიდეც და კარგავდა კიდეც.

ევროპის XVII-XVIII საუკუნეების სამრეწველო რევოლუციებმა და გამარჯვებული კაპიტალიზმის განვითარებამ დიდი ძალით დააყენეს არა მარტო ადამიანის გონების გამარჯვების, არამედ ადამიანთა დანაკარგის საკითხიც. ამ დიდმა მოვლენებმა წამოაყენეს უთანასწორობის, უსამართლობის, სიღატაკისა და სიმდიდრის საკითხიც, ტკივილი ჩაუსახლეს გულში აყროლებული ქუჩების ხელოვნური ხეობებში მომწყვდეული მოკალაქეებს, მუშებს, რომლებიც სახიკვდილოდ იყვნენ მიბმულნი ულმობელ დაზგებზე.

ამ მოვლენებმა წარმოშვეს ნატვრა უძირო ცის სილურჯისა, ლაღი ბუნებისა, სამყაროს მეფის — ადამიანის ბუნებრივი ყოფის რომანტიული ნატვრა. აი რატომ იყო, რომ ჟან ჟაკ რუსოს პასუხი დიეფონის აკადემიის კითხვაზე: „ხელი შეუწყო თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ ზნეობის გაუმჯობესებას?“ — შეესისხლხორცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პათოსს. აი რატომ შეინარჩუნა ჩვენს დრამდე რუსოს „არამ“, კაპიტალისტური ცივილიზაციის უკეთურებათა წინააღმდეგ თქმულმა, ბუნებრივი ყოფისა და ადამიანური თანასწორუფლებიანობის მშვენიერებისაკენ მოწოდების პოეზია.

ამ უკანასკნელი საუკუნენახევრის მანძილზე ყველა ხალხს, ყველა ქვეყანაში, ჰყავდა მოაზროვნეები და პოეტები, რომლებიც ჯადოსტყუვასავით. იმეორებენ ამ „არას“ რკინის ცივილიზაციის წინააღმდეგ (ტოლსტოის მსგავსად), ზოგიერთნი კი ბუნებისა და კაცის ერთიანი, შერწყმული ცხოვრებით გამოწვეულ აღფრთოვანებას მომხიბვლელ, განუმეორებელ პოეტურ სახეებად აქცევდნენ. პოეზიის მიმართ მხოლოდ მთლად ყრუ ადამიანს შეუძლია გულგრილად აიღოს ხელში საოცარი ამერიკელი მწერლის პერრი ტოროს თხზულებანი. ყოველ შემთხვევაში იყო დრო, როცა „ვალდენის ტბაზე ცხოვრება“ ასე თუ ისე ჩემი სამაგიდო წიგნი იყო. ან პოეზიის ნაღარას. იქნება ჩემი ხმა ვის არ უგრძვნია თავისებური მშვენიერება ინდოეთის ჯუნგლებში მონადირეთა ცხოვრებისა, რომელიც აღწერილი სული ბოლი მთებს ნისლივით ეფინებოდა, როცა ვაჟა ხან მეხაროვნე იყო და ხანაც, ზამთრის გრძელ საღამოობით, ალუფაკი ჭრაქის შუქზე თხზავდა თავის პოემებსა და ლეგენდებს, საქართველოს ბარში უკვე დაიწყო მუშათა კლასის დიადი მოძრაობა, ლენინის პარტიის ჩამოყალიბება. ისინი ერთ ამოცანას ისახავდნენ: თანასწორნი გაეხადათ ადამიანები, ვაჟკაცობა და გმირობა შეეტანათ ამ ადამიანთა გულში, აენთოთ ისინი მამულის სიყვარულით, მიეცათ თვითეულისთვის სიკეთის, კაცურკაცობის სილამაზე, და ადამიანი თავისი თავისათვის დაებრუნებინათ.

განა ამ პოეზიით არ ცოცხლობდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც, ცხადია, არც თუ ახლოს იდგა მარქსისტულ იდეებთან, პროლეტარიატის ბრძოლასთან! მაგრამ არის რაღაც სიმბოლური, რომ გორში, სადაც სემინარიელად იყო ვაჟა-ფშაველა, აქვე, ამ ქალაქში დაიბადა და სწავლობდა სტალინი. მან კი თავის თანამემამულეთაგან ყველაზე მეტი გაიკეთა, რომ ჩვენს გულამდე მოეტანა ვაჟა-ფშაველას ოცნებებიცა და პოეზიაც.

პოეტის მამას პავლე რაზიკაშვილს წერა თურმე ბრტყელ და გლუვ ქვაზე უსწავლია. არა ჰქონია არც ქაღალდი და არც გრიფელის დფა. პავლეს შვილმა ვაჟა-ფშაველამ კი თავისი პოეზია საკაცობრიო მატიანეში ჩაწერა. მაგრამ საჭირო იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომ ჩვენ მთელი თავისი სიდიადით გაგვეგო ვაჟა-ფშაველა. საჭირო იყო კომუნიზმი, რომ პოეტი ჩვენს წინ დღეს ხელახალი სიცოცხლით წარმომდგარიყო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.
ივლისი.

დაწერილია სპეციალურად გაზეთ „კომუნისტისათვის“.

26 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

სურათზე: ვაჟა-ფშაველა თავის მეუღლესთან თამართან ერთად. 1914 წ.

ᲓᲘᲙᲚᲝᲛᲡ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ავტომექანიკური ტექნიკუმის კურსდამთავრებული ბ. მაღლაკელიძე სადიპლომო პროექტის დასაცავად წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე, მისმა შრომამ „მექანიკური სამჭიროს უნნის დაგეგმარება „კაზ-606-ბ“ მარკის ავტომანქანის საპის მართვის ჭიახრახნის გამოსაშვებად“ შეფასება „ხუთი“ დაიმსახურა.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სააგტომობილო ქარხანაში დაიცვეს სადიპლომო შრომები ამავე ქარხნის მუშებმა — შასის სამჭიროს ზეინკალმა ა. მიქელაძემ, ძრავის სამჭიროს შიგამჩარხავმა ნ. ეგოროვმა, სიჩქარეთა კოლოფის სამჭიროს ამწყობმა გ. ოკრიბელაშვილმა და სხვებმა.

მიმდინარე წელს 181 ჭაბუკმა და ქალიშვილმა დაამთავრა ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი. თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე ტექნიკუმმა ოცი ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი მოამზადა.

ᲕᲐᲟᲐᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად 9 ივლისს გამსვლელი **სამეცნიერო სესია** მოაწყო თიანეთში.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ, რომელმაც ილაპარაკა ვაჟას ადგილზე ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში.

მოხსენება თემაზე: „ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა პროფესორმა დიმიტრი ბენაშვილმა, მან დამსწრეებს გააცნო ვაჟას შემოქმედების თემატური და იდეური მიმართულება პროფესორმა ქსენია სიხარულიძე მ ილაპარაკა იმ ღრმა კავშირზე, რომელიც არსებობს ვაჟას შემოქმედებასა და ხალხურ პოეზიას შორის. ვაჟა-ფშაველას დრამატურგიაზე მოხსენებით გამოვიდა დოცენტი ამბერკი გაჩეჩილაძე. დოცენტმა ბენო დობორჯგინიძემ ვაჟას მხატვრულ და კრიტიკულ - პუბლიცისტურ ნაწარმოებთა მიხედვით ანალიზი გაუკეთა ვაჟას ესთეტიკურ შეხედულებებს.

სამეცნიერო სესიას ბევრი ხალხი დაესწრო როგორც თიანეთიდან, ისე სოფლებიდან.

დასასრულ გ. ლეონიძემ ილაპარაკა თიანეთში ვაჟა-ფშაველას სახელის უკვდავყოფის ღონისძიებებზე.

ᲛᲣᲥᲗᲐᲮᲝᲠᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲐᲠᲐᲞᲐᲛᲝᲒᲔᲜ

ᲓᲘᲚᲐᲐᲓᲠᲘᲐᲜ თბილისს ორჯონიკიძის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის მეორე შესასვლელის წინ მოქალაქე ნერვიულობდა:

— აქ გაკლა პირდაპირ შეუძლებელია! — გულნატკენად დაასრულა სიტყვა მან და ძლივს გადალახა ნაგვის გორები. როდესაც ამ ფაქტის შესახებ საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორს ა. გეგეშიძეს მივმართეთ, იგი გაბრაზებდა:

— აღმაშფოთებელია, — თქვა მან, — თანახმად ხელშეკრულებისა, ნაგავი დასუფთავების რაიონულმა კანტორამ (უფროსი კ. სამხარაძე) უნდა წაიღოს საღამოს, მაგრამ ასე როდი ხდება ყოველთვის!.. ამის შესახებ ჩვენ გადამჭრელ ზომებს ვიღებთ, აქტებსა ვწერთ...

საკოლმეურნეო ბაზრის სალაროსთან სოფელ ძალისის (მცხეთის რაიონი) კოლმეურნეობის წევრი მ. საბლიშვილი ვნახეთ. იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა. როგორც გამოირკვა, მოლარე ნ. ბერიაშვილმა მას ხურდა დაგვიანებით დაუბრუნა.

დიასახლისებმა დახლებს მიაშურეს... სულსა და ვულს ატკბობდა პამიდორის, კიტრის, ვაშლის, მსხლის, ქორფა მწვანილის სიუხვე. ერთი შუახნის ქალი კოოპვაჭრობის № 10 მაღაზიის დახლს მიადგა.

— ქინძი გაქვთ? — ჰკითხა მან გამყიდველს.

— არა, — იყო პასუხი.

— სხვა რამ ბოსტნეული?

— არა მეთქი, — უპასუხა გამყიდველმა ა. ნატროშვილმა და ნაღვლიანად გაიხედა დაცარიელებულ თაროებს. მცირე რაოდენობით ჰქონდა ხილ-ბოსტნეული საკოლმეურნეო ბაზარში არსებულ თბილხილბოსტნეკოოპვაჭრობის № 23 მაღაზიას (გამგე ა. მურუსიძე). როცა გამყიდველს ახალი კარტოფილი მოსთხოვეს, უპასუხა, ჯერჯერობით ეგ არ გვაქვსო. აქვე იყიდებოდა ჭუჭყიანი მწვანე ხახვი.

მომხმარებლები განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც ევალებათ მიაწოდონ ქალაქის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. საჭირო ორგანიზაციების ხელმძღვანელია მოუქნელი მუშაობის შედეგია, რომ თბილისის ბაზრებში ცარიელი დახლებია. მათ ხელში იგდებენ ის ადამიანები, რომლებიც არსად არ მუშაობენ, მუქთახორობენ, სპეკულანტობენ. ჩვენი საზოგადოების ასეთ ხორცმეტებს ამ ბაზარშიც ეხვდებით. ყვარელი მერი ხახუტაშვილი ალალ შრომას გაურბოდა, იოლი შემოსავლის წყაროს ეტრფოდა. ერთ დღეს დილით მან საკოლმეურნეო ბაზარში 120 კილოგრამი კიტრი იყიდა კილოგრამი 35 კაპიკად და ჰყიდდა 70 კაპიკად.

არჩილ ლაზარაშვილი დღე-ღამეს საკოლმეურნეო ბაზარში ატარებდა. შენ კაი კაცი არა ხარ, — ბევრჯერ გააგონეს მას მომხმარებლებმა, მაგრამ არჩილი თავისას მაინც არ იშლიდა.

— ცოცხალ-ცოცხალი თევზი, — გაჰყვიროდა იგი. მუქთახორას დანაშაულზე წაასწრეს...

ბაზრის დირექციაში გადაგვიშალეს სქელტანიანი ჟურნალი, რომელშიც ჩაწერილია გადამყიდველთა გვარები, ნაჩენებია მათ მიმართ ზომების მიღების თარიღები. წიგნში აღმრიცხველებს გულისწყრომით აღუბეჭდავთ: „22/II. თბილისელი ე. მურადოვი სისტემატურად ეწეკა ქათმებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყიდვა-გაყიდვას“. ასევე სწერია ვინმე თ. ოდიშარიას შესახებ.

როგორც ჩანს, ის ადამიანები, ვინც ვალდებულია შეუნელებლად ებრძოდეს მუქთახორებს მაყურებლის როლში გამოდიან.

საკოლმეურნეო ბაზარში შევხვდით თბილისში გურჯაანის ქ. № 11 სახლში მცხოვრებ გ. არუთინოვს. ის დახლთან შორეულ რაიონიდან ჩამოსულ კოლმეურნეს შეედავა:

— ეს ადგილი ჩემია, აქ მე ვყიდი პამიდორს!..

კოლმეურნე გაოცებული დარჩა. საკოლმეურნეო ბაზარში გაცხოველებით ეპრობდა ბადრიჯნით თბილისელი ს. შუბითიძეც.

საკოლმეურნეო ბაზარში ვიღაც მამაცის ძახილი გაისმა: — მიშველეთ, გამქურდეს! — ხეტაფორელ ბ. კუპატაძეს მრავალჯერ ნასამართლევმა მუქთახორამ ვ. ტერტეროვმა თხუთმეტი კილოგრამი ყველი „აართვა“. მუქთახორა-სპეკულანტს გზა გადაუღობეს, მშრომელთა დახმარებით ორჯონიკიძის რაიონის მილიციის განყოფილების მუშაკებმა ბორტმოქმედი ადგილზევე შეიპყრეს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი უცნაური ფაქტიც—სოფელ ზარათის (წყალტუბოს რაიონი) კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ძოწენიძე ამ საკოლმეურნეო ბაზარში ვაშლსა და მსხლებს ჰყიდდა. როცა ვკითხეთ, რატომ მიატოვე ბრიგადა შრომის ამ ცხარე დღეებშო, გვიპასუხა: არა უშავს რა, სამ-ოთხ დღეს კოლმეურნეობაში იოლად ვიშველნ. მართალია, სიმინდის ნათესებმ, ჩაის პლანტაციებმ მივატოვე, მაგრამ...

საინტერესოა ისიც, რომ წყალტუბოს რაიონის კოოპვაჭრობის არა ერთი და ორი მაღაზიაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი თავს არ იწუხებენ, რომ კოლმეურნეებისაგან შეისყიდონ ჭარბი პროდუქტები.

კვლავ რამდენიმე სიტყვა კოოპვაჭრობისა და თბილხილბოსტნეკოოპვაჭრობის მუშაობაზე. ეს ორგანიზაციები, როგორც ამ ბაზრის მაგალითიდანაც ჩანს, კვლავ ზანტად, მოუქნელად მუშაობენ. მოსახლეობას დროულად ვერ ამარაგებენ ახალი ხილბოსტნეულით. მაღაზიების დახლები ცარიელია. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ნაკლებად ზრუნავენ ქალაქის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო, კოოპვაჭრობისა და თბილხილბოსტნეკოოპვაჭრობის ხელმძღვანელები.

აღნიშნულ საკოლმეურნეო ბაზარში არსებული ნაკლოვანებანი იმაზეც მეტყველებენ, რომ ბაზრების სამმართველო (უფროსი ლ. აკოფოვი) ნაკლებ კონტროლსა და დახმარებას უწევს საკოლმეურნეო ბაზრის მუშაკებს.

დრო არ ითმენს. საკოლმეურნეო მინდვრის უხვი დოვლათი ორგანიზებულად უნდა შემოვზიდოთ დედაქალაქში. და კულტურულად მივაწოდოთ მშრომელებს. მუქთახორებს კი ერთხელ და სამუდამოდ დავუკეტოთ იოლი შემოსავლის წყარო.

—„კომუნისტის“ რედიდის მონაწილენი:

ვ. სუხიშვილი, ზეინკალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **შ. დაბრუნდაშვილი,** ორჯონიკიძის რაიონის მილიციის განყოფილების თანამშრომელი; **ნ. ძნელაძე,** დიასახლისი, **შ. ჭოჭუა, ა. გოცირიძე,** გაზეთ „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ᲛᲣᲥᲗᲐᲮᲝᲠᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲐᲠᲐᲞᲐᲛᲝᲒᲔᲜ

რედაქციისაგან: ამ რედიდის ჩატარებიდან რამდენიმე დღე გავიდა. მასალის დაბეჭდვის წინ რედაქციამ გადაწყვიტა კვლავ შეემოწმებინა ფაქტები. როგორც გამოირკვა **მდგომარეობა უცვლელია.** ნაგვის გორები გუშინაც იდგა საკოლმეურნეო ბაზრის წინ. როგორც ჩანს, რედიდის მონაწილეთა მითითებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

ბაზრის მუშაკებს დაუკავებიათ გაქცილი სპეკულანტი ო. ჭუბაბრია (სამტრედიის ქუჩა № 6). სწორედ ეს ქალი წინადღეს სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში გადამყიდველობას ეწეოდა. მას აქეთ შეუდგინეს, გაზეთმა „თბილისმა“ მისი სურათიც კი გამოაქვეყნა, მაგრამ... იგი კვლავ საკოლმეურნეო ბაზარში დაპარპაშობს.

ჩანს, მილიცია-პროკურატურის ორგანოები უყურადღებოდ ეკიდებიან გაზეთის, მშრომელთა სიგნალებს! განა ასე უნდა ბრძოლა მუქთახორების წინააღმდეგ?

საკოლმეურნეო ბაზარში არსებული თბილკოოპვაჭრობის № 10 მაღაზიის თაროები ცარიელი იყო. კოოპვაჭრობის ხელმძღვანელები ზემდგომი ორგანოების მითითებებს აინუნშიაც არ იგდებენ!

საკოლმეურნეო ბაზარში ზოგჯერ ატყუებენ მომხმარებელს. თბილკოოპვაჭრობის № 18 მაღაზიის ფილიალის გამყიდველს ა. არსენიძეს სასწორი დაუენებული ჰქონდა ისე, რომ 10 გრამ განსხვავებას აძლევდა. ცხადია, თავის სასარგებლოდ. მას არც ყველზე ჰქონდა ფასები დადებული.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ საკოლმეურნეო ბაზრის ხელმძღვანელობა. სავაჭრო ქსელის მუშაკები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, აბუჩად იგდებენ მომხმარებლებს.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ — „ᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲐᲠᲒᲐᲚᲙᲘᲗ“

ᲒᲐᲜᲕᲐᲘᲐᲠᲐᲚᲝᲗ ᲨᲔᲐᲠᲒᲐᲚᲙᲝᲡᲜᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა რესპუბლიკური კურსების მსმენელებმა და ლექტორ-მასწავლებლებმა გულდასმით განიხილეს გაზეთ **„კომუნისტის“** 1961 წლის 12 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული **ალ. ღლონტის** სტატია „ცოდნით და არა შპარგალკით“.

წერილის განხილვისას რესპუბლიკის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა და ლექტორებმა ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს.

მაგალითად, მასწავლებელმა **ვლ. კვირკელიშვილმა** (ყაბეგის რაიონის გორისძირის შვიდწლიანი სკოლა) აღნიშნა: შპარგალკებით სარგებლობის მავნე ჩვევას მოსწავლეები ზოგჯერ დაბალი კლასებიდანვე იძენენ. მასწავლებელთა და მშობელთა ნაწილი კი ამას გულგრილად შეჰყურებს. გორის რაიონის სოფელ კარალეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს **გ. ზალიშვილს** შპარგალკომანიის გავრცელების ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია ის, რომ წერითი სამუშაოს მოცულობა აღემატება მოსწავლეთა შესაძლებლობას.

მასწავლებელმა **თ. ლაზაშვილმა** (გურჯაანის რაიონი, კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი) აღნიშნა, რომ ზოგიერთი მშობელი „გაჩაფულია“ შვილის შპარგალკებით „აღჭურვის“ საქმეში, ხშირად არამც თუ ენერგიას, ფულსაც არ ზოგავს, რომ შვილი ყოველი მოსალოდნელი შემთხვევისათვის მოამზადოს შპარგალკით. სკოლა-ინტერნატის პირობებში სრული შესაძლებლობაა აღიკვეთოს შპარგალკის გამოყენების მავნე პრაქტიკა, რადგანაც ამ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვთა კოლექტივზე ერთიანი მოთხოვნა მაღალია, ხოლო გარეშე „გულშემატკივართა მეურვეობისათვის“ ნიადაგი არც თუ ისე მტკიცეა.

—შპარგალკების გავრცელებას ხელს უწყობენ მოინტელიგენტო ადამიანები, რომლებსაც შპარგალკების შედგენა შემოსავლის დამატებით წყაროდ გაუხდიათ, — აღნიშნა მასწავლებელმა **იოსებ ნადირაშვილმა** (სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკრიანის საშუალო სკოლა). ამის გამო მოსწავლეები თხზულებაზე მუშაობისას ზოგჯერ მასწავლებელთა სრული უკონტროლობით სარგებლობენ. თემას აკოწიწებენ სხვადასხვა კრიტიკოსთა ნააზრევიდან, აღარ ჩანს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნება და ხშირ შემთხვევაში წერითი ნაშრომი კომპილაციას წარმოადგენს.

— საჭიროა შპარგალკების გამოყენების მავნე ჩვევის წინააღმდეგ ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოება მშობელთა შორის, — ამბობს მასწავლებელი **შ. მერაბიშვილი** (ადიგენის რაიონი, სოფელ უდეს საშუალო სკოლა).

— სავალალოა, — განაცხადა სიღნაღის საშუალო სკოლის მასწავლებელმა **ლ. ნარიმანოვმა,** — რომ პროცენტომანიით გატაცებული სკოლის ზოგიერთი უხეირო ხელმძღვანელი თვით უბიძგებს მასწავლებლებს თვალი დახუჭონ შპარგალკების გამოყენებისას.

მასწავლებელმა **გ. ნოზაძემ** (ლაგოდეხის რაიონი, ვარდისუბნის საშუალო სკოლა) აღნიშნა, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი დაჟინებით მოითხოვს მასწავლებელმა ხელოვნურად შეამციროს კლასში ოროსანთა რიცხვი. ამის გამო მასწავლებლები მიმართავენ ლიბერალიზმს. სუსტია კონტროლი საგამოცდო წერის დროს. შპარგალკების გამოყენების მიმართ.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი **ვარლამ ცინცაძე** შეეხო სკითხვას იმის შესახებ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ერთნაირი მოთხოვნით უნდა მივუდგეთ ყველა საგნის სწავლებას. უმაღლეს სასწავლებლებში შეუძლებელია სხვადასხვაგვარი მოთხოვნილება წაეუყენოთ სხვადასხვა დარგზე შემსვლელ აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებიც ვალშია საშუალო სკოლის წინაშე, აქაც უფრო კვალიფიციურად უნდა აღჭურვონ კურსდამთავრებულნი შშობლიური ენის ცოდნით.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის დოცენტ **შ. ნიბარულიძის** (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის მეთოდიკაბინეტის გამგე) აზრით, შპარგალკების გამოყენების ერთ-ერთი მიზეზია პროგრამებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების ზედმეტი გადატვირთვა სასწავლო მასალით. მისი აზრით, მიზანშეწონილი არ არის ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის პრაქტიკული კურსის შემოღება.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტმა **მარიამ თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: წერითი საეგზამენო ბმობლიურ ენაში ეძლევათ არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებსაც მისაღები გამოცდებზე. სტუდენტებს უნდა მიეცეთ თემები საშუალო სკოლის პროგრამული მასალიდან, მაგრამ გათვალისწინებულ უნდა იქნას მომავალი სპეციალისტის პროფილიც.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მას

ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის სავაჭრო ურთიერთობის გამო

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა, რომელიც შეერთებულ სამეფოში ვიზიტად იყო საბჭოთა სამრეწველო გამოფენის გასახსნელად, გამართა მოლაპარაკება შეერთებული სამეფოს ვაჭრობის მინისტრთან რეჯინალდ მოდლინგთან საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის სავაჭრო ურთიერთობის საკითხებზე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ერთობლივ კომუნიკეში ფიქსირებული შეთანხმების შესაბამისად. ეს კომუნიკე გამოქვეყნდა მოსკოვში ამა წლის 3 ივნისს რ. მოდლინგის საბჭოთა კავშირში ვიზიტის დამთავრების შემდეგ.

მოლაპარაკებამ, რომელმაც გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, შესაძლებელი გახადა მომხდარიყო აზრთა გაზიარება მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც შეეხება ვაჭრობის შემდგომ განვითარებას ორ ქვეყანას შორის.

მინისტრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ბრიტანეთის მოსკოვის გამოფენის წარმატება, რომელიც ამას წინათ მოეწყო, და ცნობად მიიღეს, რომ ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რაოდენობით განაწილდა საბჭოთა შეკვეთები ბრიტანეთის საქონელზე. მათ კმაყოფილებით აღნიშნეს აგრეთვე საბჭოთა გამოფენის გახსნა ლონდონში. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ ეს გამოფენა იქნება აგრეთვე წარმატებითი და გამოიწვევს ბრიტანეთის მნიშვნელოვან შეკვეთებს საბჭოთა საქონელზე.

მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ეს ორი გამოფენა დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის ბაზის გაფართოებაში, რაზეც დამოკიდებულია ვაჭრობის შემდგომი განვითარება.

მინისტრებმა განიხილეს შედეგები, რომლებიც მიღწეულია მოსკოვში მათი შეხვედრის შემდეგ, იმ მიზნების შესრულებაში, რომლებიც აღნიშნულია ამა წლის 3 ივნისის ერთობლივ კომუნიკეში.

რ. მოდლინგმა განაცხადა, რომ იგი შეუდგა კონსულტაციებს შეერთებული სამეფოს მრეწველობის მთელ რიგ დარგებთან შეერთებულ სამეფოში საბჭოთა საქონლის მიწოდების გრძელვადიანი კონტრაქტების დადების შესაძლებლობის შესახებ. ნ. ს. პატოლიჩევმა მიიღო ცნობად რ. მოდლინგის განცხადება, რომ ეს კონსულტაციები კვლავაც გაგრძელდება.

შეთანხმებულ იქნა, რომ ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკება, რომელიც წარმოებდა 1959 წლის ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმების მე-8 მუხლის შესაბამისად, გაგრძელდება ლონდონში მომდინარე წლის დამლევს ან 1962 წლის დამდეგს.

მინისტრებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობასთან 1959 წლის ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმების შესაბამისად. ისინი შეთანხმდნენ, რომ მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდგომი მოქმედება საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ვაჭრობის განვითარებისათვის.

დაეთანხმა აგრეთვე, რომ თუ წარმოიშვა რაიმე სიძნელე ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობაში, ამ ქვეყნების წარმომადგენლები შეხვდებიან ისე ხშირად, როგორც ეს საჭირო იქნება ასეთ სიძნელეთა გადასალახავად და იმ მიზნით, რომ შექმნან ყველაზე ხელსაყრელი პირობები ვაჭრობის განვითარებისათვის.

საბჭოთა გამოფენა ლონდონში

ლონდონი, 18 ივლისი. (საკდესი). ჯონ პეიჯეტს, ფერმერს სოფელ ბერნეტიდან, ბრისტოლის ახლოს, ბევრი რამ საინტერესო ჰქონდა გაგონილი საბჭოთა სამრეწველო გამოფენაზე ლონდონში. ამიტომ, როგორც კი თავისუფალი დღე გამონახა სასოფლო-სამეურნეო საბუთათა ამ დაძაბულ დროს, გადაწყვიტა თავის საცოლესთან სტეფანიასმარტთან ერთად წასულიყო ლონდონში და ენახა გამოფენა.

გამოფენაზე მას ელოდა მოულოდნელი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი: იგი აღმოჩნდა მე-250-ათასე მნახველი. ბრისტოლელ ფერმერს გულთბილად მიესალმა გამოფენის დირექტორის მოადგილე ი. ი. ნოსოვი, ხოლო მეგანეკენე მილა რომანკოვსკაიამ გადასცა მას სამახსოვრო საჩუქარი — ხოლმოგორელ ოსტატთა ნამუშევარი ორი ვაზა.

რიგი ახლა გამოფენის მე-500-ათასე მნახველზეა.

შტრაუსი — ომის გამჩაღებელი

ბერლინი, 18 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნის საგენტო იუწყება, ჰამბურგის ჟურნალმა „დერ შპიგელმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ბონის თავდაცვის მინისტრს შტრაუსს ახასიათებს როგორც ერთ-ერთ ყველაზე საშიშ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც ომს ესწრაფვის.

ბონის სამხედრო მინისტრს შტრაუსს, წერს „დერ შპიგელი“, სწამს ომი როგორც ყველაზე სამედო პოლიტიკური საშუალება და ანგარიშს არ უწევს ომის საშინელებებს. შტრაუსი გერმანელ ნაციონალისტთა განდიდების მანიის სიმბოლოა, იგი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მოღვაწეა და ოცნებობს, რომ დასავლეთ გერმანიის არმია უძლიერესი გახდეს ევროპაში: თუ მთავრობა შეიცვალა, იგი ჩაუნერგავს თავის გენერლებს აზრს, რომ საჭიროა წაროაყენონ გარკვეული მოთხოვნები, ხოლო ამ მოთხოვნების უარყოფის შემთხვევაში, გადადგნენ. ეს, აცხადებს ჟურნალი, ძალზე ჰგავს სახელმწიფო გადატრიალებას არმიის დახმარებით.

შეხვედრები ფესტივალზე



მოსკოვი, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის დელეგატების — სტუმრების თხოვნით სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში მოეწყო შეხვედრა მსოფლიოს პირველ კოსმონავტ მფრინავთან მაიორ იური გაგარინთან.

სტუმრებს, რომლებმაც აავსეს კულტურის სამინისტროს სხდომათა დარბაზი, იური გაგარინი გააცნო სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ პირველ კოსმონავტს.

როცა იური გაგარინმა თქვა, რომ მზად არის უპასუხოს შეკითხვებზე, დარბაზის ყველა კუთხეში ერთბაშად მაღლა აიწია ათობით ხელი.

— სად უფრო მოგწონთ, დედამიწაზე თუ ცაში?

— მე მიწიერი ადამიანი ვარ, აქ უფრო მოხერხებულია ჩემთვის.

— რა დაინახეთ, როცა აფრიკას გადაუფრინეთ?

— აფრიკა, უდაბნოები, დიდი ტბები, ნილოსი.

— რა იგრძენით პირველ მომენტში, როცა დედამიწაზე დაბრუნდით?

— ის, რომ კვლავ ვდგავარ დედამიწაზე. შემეკითხეთ სულ უფრო მეტი ხდება.

— როგორ მოგწონთ ლონდონი? — ეკითხება ინგლისელი მსახიობი პიტერ ფინჩი.

— ძალიან მომეწონა. და არა მარტო ლონდონი, არამედ ინგლისის ყველა ქალაქი, სადაც მე ვიყავი. ყველგან მხვდებოდნენ დიდი გულთბილობით.

რამდენიმე ხმა ერთად ეკითხება, სად წავა იური გაგარინი უახლოეს დროში.

— ბევრგან მიმიწვიეს. შემიძლია ვთქვა მხოლოდ ორ უახლოეს მოგზაურობაზე. 20 ივლისს გავემგზავრები პოლონეთში, ხოლო 23 ან 24 ივლისს — კუბაში.

— აპირებთ თუ არა კოსმოსში ერთხელ კიდევ წასვლას?

— ვაპირებ. მაგრამ არ მინდა მონოპოლისტი ვიყო ამ საქმეში. ჩემს მეგობრებს, რომლებიც ემზადებიან გახდნენ კოსმონავტები, სურთ მოამზადონონ ასეთი გაფრენა არა ნაკლებ, ვიდრე მე.

სიტყვამ მოიტანა, ღიმილით განაგრძობს მაიორი გაგარინი, როცა მათ შეიტყეს, რომ დღეს უნდა შევხვედროდი კინოვარსკვლავებს, ყველამ მთხოვა გადავცე დიდი სალამი. კინომსახიობებიც ხომ კოსმოსური მოვლენაა.

— როგორია თქვენი ყველაზე დიდი მთაბეჭდილება ცხოვრებაში, თუ არ ჩავთვლით გაფრენას კოსმოსში?

— მე ვფიქრობ, თუ ცხოვრებას ავი თვალით არ ხედავ, მთელი ცხოვრება აღსავსეა წარმტაცი მთაბეჭდილებებით. ძნელია გამოვყო მთავარი.

— მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება თქვენს ჯანმრთელობაში გაფრენის შემდეგ?

— არც მე, არც ექიმებს არ შეუმჩნევიათ რაიმე ცვლილება.

— რომელი ფილმები მოგწონთ ყველაზე მეტად?

— მე ვნახე ძალიან ბევრი ფილმი და მიძნელდება კატეგორიულად გავცე პასუხი ამ შეკითხვაზე. უკანასკნელი წლების საბჭოთა ფილმებს შორის მომეწონა „ბალადა ჯარისკაცზე“ და „მოწმენდილი ცა“.

— რა გინდათ უსურვოთ მოსკოვის ფესტივალს?

— მე ვისურვებ, რომ ფესტივალმა შეასრულოს ის ამოცანები, რომელიც დაისახა — იბრძოლოს ხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

მოულოდნელი შეკითხვა:

— მძიმეა პოპულარობის ტვირთი?

— ძალიან, ისევე მძიმეა, როგორც დედამიწა.

— გემრიელია კოსმოსური საჭმელი?

— დედამიწაზე არავინ იტყვის უარს ასეთ საჭმელზე.

— ჩამოხვალთ თუ არა იტალიაში?

— აუცილებლად.

— ინდოეთში? აფრიკაში?

— ვეცდები წავიდე ყველგან, სადაც მიმიწვევენ.

შეხვედრის დრო ამოიწურა. ფესტივალის მონაწილეებმა სურათი გადაიღეს მაიორ იური გაგარინთან ერთად. კინომუშაკებმა ჩამოართვეს ხელი კოსმონავტს, გადასცეს იმ ქვეყნების ხალხთა სალამი და კეთილი სურვილები, რომლებსაც ისინი მოსკოვში წარმოადგენენ. მაიორმა გაგარინმა დიდი მადლობა გადაიხადა გულთბილობისა და ყურადღებისათვის, რაც მის მიმართ გამოიჩინეს.

მოსკოვი, 17 ივლისი. (საკდესი). ფესტივალი გრძელდება. დამთავრდა მისი პირველი კვირეული. გასინჯულია ყველა ფილმის სახეობაზე მეტი, გაიმართა ათობით შეხვედრა, პრეს-კონფერენცია, დისკუსია. მაგრამ კამათი ამ დღეებში ერთი წუთითაც არ ცხრება.

გაიმართა ეიურის პირველი სხდომები. ყოველდღე ფესტივალზე ჩამოდიან ახალი სტუმრები. ყოველდღე ხვდებიან სტუმრებსა და დელეგატებს საბჭოთა კინემატოგრაფისტები. გუშინ მოსკოვის მეგობრობის სახლში მოსკოველმა კინემატოგრაფისტებმა მიიწვიეს უცხოელი კოლეგები.

სტუმრებს მიესალმა ლენინური პრემიის ლაურეატი რეჟისორი რ. კარმენი. საფრანგეთის კინოს მოღვაწეთა სახელით გამოვიდა რ. კრავენი. მისი აზრი, რომ ასეთი შეხვედრები სასარგებლოა, გაიზიარა ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა რეჟისორმა და მსახიობმა გურუ დატმა. ნიგერიის დელეგაციის წევრმა ეფიონნე ოვაკურემ კინოს წამყვან მუშაკებს სთხოვა დახმარება გაუწიონ ნიგერიის კინემატოგრაფიას — ისეთივე ახალგაზრდას, როგორც თვითონ ეს სახელმწიფოა.

დღეს დილით გაიმართა ისრაელის დელეგაციის პრეს-კონფერენცია. დელეგაციის მეთაურმა, იერუსალიმის რადიოს, თეატრისა და კინოს განყოფილების ხელმძღვანელმა ქალბატონმა ბელა ბარამმა თქვა, რომ ხუთი წლის წინათ შეიქმნა პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „№ 24 კოზეი არ უპასუხებს“. ჟურნალისტების თხოვნით ქალბატონმა ბარამმა ილაპარაკა ოთხ სურათზე, რომლებიც ისრაელმა წარმოადგინა მოსკოვის ფესტივალზე.

მაყურებელი—თანაავტორი, მაყურებელი—შემოქმედებითი პროცესის მონაწილე — ეს განსაზღვრა, რომელიც მოსწრებული გამოთქმა გახდა, ფესტივალის დისკუსიასთან ერთად გადავიდა კინოთეატრ „რუსეთის“ გასასინჯ დარბაზში. ეს გამოთქმა განსაკუთრებით ხშირად აგონდებათ სწორედ დღეს.

17 ივლისს საბჭოთა დელეგაციამ საკონკურსო გასინჯვაზე აჩვენა გ. ჩუხრაის ფილმი „მოწმენდილი ცა“. საბჭოთა მაყურებლისათვის კარგად ცნობილი, ახლა, ფესტივალის დღეებში, ეს ფილმი ახლებურად აღიქვეს. სტუმრებისათვის, რომლებმაც „მოწმენდილი ცა“ პირველად ნახეს, იგი არის არა მარტო ორი ადამიანის ისტორია, რომლებიც უდიდესმა სიყვარულმა დააკავშირა, არამედ ისტორიაა ჩვენი ქვეყნისა, ხალხისა მძიმე განსაცდელის ჟამს. დროის ნიშნები მონახა და შეარჩია რეჟისორმა ჭეშმარიტი სიმართლის ძალითა და გამომსახველობით.

და მხურვალე მოწონება, რომლითაც დარბაზში ხვდებოდნენ ფილმის საუკეთესო სცენებს და ოვაციაც, რომელიც დამსწრეებმა გაუმართეს ფილმის შემქმნელებს, როცა ისინი მაყურებელს გაანეს ფილმის ჩვენების წინ, ცხადყოფენ, რომ დიდ ხელოვნებას ეხმაურება ყველა.

იმავე დღეს აჩვენეს აგრეთვე ავსტრიული სრულმეტრაჟიანი სურათი „დიდი კონცერტი დაკვეთით“.

• • •

სურათზე: ი. ა. გაგარინი ფესტივალის მონაწილეებთან.

ეს შიმშილის ბრალია...

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკდესი). „შიმშილი მუდმივი სტუმარია“, — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „ფორტუნერმა“ მწერალ მიკ ნიუბერის სტატია. სტატიის ავტორი მოგვითხრობს, თუ რა ნახა მან საკუთარი თვალით, როცა პენსილვანიის შტატის ცენტრალურ რაიონებში მოგზაურობდა.

„კარლაილის ერთ-ერთ გარეუბანში, — წერს ნიუბერი,—გულმოსულმა მცხოვრებმა ადგილობრივ რადიოცენტრს გაუგზავნა წერილი, სადაც უჩიოდა ადამიანებს, რომელნიც მოწყალებას თხოულობენ. ეს ადამიანები კარდაკარ დადიან რაიონებში, სადაც ცხოვრობს მეტად თუ ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობა და „უწამლავენ“ სიცოცხლეს მაძღარ მცხოვრებთ. წერილის ავტორის აზრით, შიმშილი გარეუბნებში ცუდი „ტონის“ ნიშანიც არის“.

თავისი სახლის ფანჯრიდან, სარკაზმით აღნიშნავს ნიუბერი, ეს ჩასუქებული ბიუროგრი ხედავდა მთელ ოჯახებს, რომლებიც ბანაკად განლაგებულიყვნენ უახლოეს ტყეებში. „ის იფუჭების პეიზაჟს“,— ბუზღუნებს იგი, — და ადარებს რა უბედურებს ბოშებს, ასწერს როგორ ნახა მან მათი საცხოვრებელი კარვები, ძველი ავტომანქანები და სატვირთო მანქანები. „როდის გააკეთებენ რამეს ამასთან დაკავშირებით?“ — გაჯავრებული კითხულობს იგი.

დასავლეთისაკენ მივდიოდი დასავლეთ ვირჯინიის, პენსილვანიისა და კენტუკის ქვანახშირის რაიონებში, მოგვითხრობს ნიუბერი, როცა დიქტორი კითხულობდა ამ წერილს, რაც დაუწერია იმ სურათოვის აცბუნებულ ადამიანს, რომელიც თავისი კეთილმოწყობილი სახლის ფანჯრიდან დაინახა. და გულისტკივილით გავიფიქრე იმ სიტყვებზე, რომლებიც ის იყო თქვა პრეზიდენტმა: „აყვავება კვლავ დაბრუნდა“. რა თქმა უნდა, ოჯახებმა, რომლებსაც იძულებული არიან მოწყალება ითხოვონ, ვერ გაიგონეს პრეზიდენტის ეს სიტყვები.

ასე დავიწყე შიმშილის გაცნობა ამერიკის შეერთებული შტატების ქვანახშირის რაიონებში.

ამ ბორცვებიანი ადგილის გზატკეცილებსა და სასოფლო გზებზე რომ მივდიოდი, უცნაურ სანახაობას ვხედავდი. ეს იყო სანახაობა, რომელიც მრავალი წელია აღარ მინახავს. ყველა ასაკის მამაკაცები, რომლებსაც სპეცტანსაცმელი ან სამუშაო კოსტუმები ეცვათ, იდგნენ გზის გაყოლებით, არა ერთი და არა ორი, არამედ ათობით ადამიანი იდგა ყოველ გზასთან, რომელზეც მე მივდიოდი.

ვეკითხებოდი მათ, საით მიდიხართ მეთქი? და ჩვეულებრივად მიპასუხებდნენ: „არ ვიცი“. კვლავ ვეკითხებოდი: „ძაშ რატომაა მიდიხართ?“ „ვერ დავრჩები აქ“, — ისმოდა პასუხი, „რატომ მეთქი?“ „სამუშაო არ არის“, — ჩვეულებრივად მიპასუხებდნენ მამაკაცები, ისეთი კილოთი, თითქოს ეს ჭეშმარიტება იძიდნად კარგად იყო ცნობილი, რომ რაიმე ახსნა აღარ სჭირდებოდა. „როგორ ფიქრობთ, შეიძლება იძოვოთ სამუშაო?“, ვეკითხებოდი ე. „არა“, — გულგრილად მიპასუხა ერთმა ახალგაზრდამ, როგორც ისეთი რამ, რაც თავისთავად იგულისხმება.

ერთხელ დავინახე ქალი და მამაკაცი, რომლებიც მთხოვდნენ წაგვიყვანე მანქანითო. ქალი ორსულად იყო და, როგორც მისი მდგომარეობის მიხედვით ჩანდა, მშობიარობა შორს არ იყო.

მათ ზუსტად ვერ თქვეს, თუ რამდენი ხანი მოუხდათ ლოდინი ბენსანთან მორგანტაუნის მიდამოებში. დასავლეთ ვირჯინიის ამ მთიან რაიონებში ხომ მანქანები იშვიათად დადის, და ამ ცოლ-ქმარს ისეთი მოტეხილი სახე ჰქონდათ, როგორიც მგზავრებს ეჩნდებათ სიცხის, დაღლილობისა და მტვრისაგან. ჩემი ახალი ნაცნობები, ისევე როგორც სხვა ათობით ქალი და მამაკაცი, ცდილობდნენ გაქცეოდნენ შიმშილსა და უმუშევრობას.

ახალგაზრდა მომავალ დედას სურდა ეპოვნა მყუდრო ადგილი და თავშესაფარი, სადაც შობდა ბავშვს, მის ქმარს სურდა ეპოვნა „რაიმე სამუშაო“.

რა მოელით მათ? — გავიფიქრე მეხომ არ მოელით „გულითადი მიღება“ გარეუბნების ისეთ მცხოვრებთა ჯგუფისაგან, როგორიც იყო ის გააფთრებული ქარლაილელი მოქალაქე?

ვხედავთ ადამიანთა ნელ, მაგრამ განუხრელ მასობრივ წასვლას ქვანახშირის დაბებიდან, სადაც მომიხდა ყოფნა, წერს შემდეგ ნიუბერი. უმუშევართა რიცხვმა ამ რაიონში მიაღწია რამდენიმე ასეულ ათას კაცს ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე, სანამ ვაშინგტონელი მეცნიერები ეკონომიურ „დაქვეითებას“ აღმოაჩენდნენ. ახლანდელისა და წინანდელი მთავრობების ვერავითარმა დაპირებამ და პროგრამამ ვერ შეამცირა რამდენადმე უმუშევრობა.

მდგომარეობას რამდენადმე აადვილებს ადგილობრივი რაიონული ორგანიზაციებისა და შტატების ორგანიზაციების დახმარება. მაგრამ ქალაქებში, სადაც დაიხურა შახტები და წარმოება მინიმუმამდე შემცირდა, არავითარი სამუშაო არ არის. მუდმივი სამუშაო რომ არ არის, ქალაქები ჩაკვდა, ხოლო მათთან ერთად ქრება ადამიანთა იმედი.

მეფუქნებებმა მითხრეს, ვაჭრობა იმდენად მოდუნდა, რომ არც კი შეიძლება მას ვაჭრობა ეწოდოსო. როცა ერთ დაბაში ოჰაიოს ველზე რძე მოვითხოვე, პასუხად მუნჯი მავედრებელი თვალები დავინახე.

„ჩვენში რძე რა ხანია აღარ არის“. — თქვა მედუქნემ.

„რძე არ არის?“ — ვიკითხე გაკვირვებით.

„დიახ, — მიპასუხა მან, თან ნაღვლიანად გადაქნია თავი. — რძეზე მოთხოვნა არ არის. შეგვიძლია რძის ფხვნილი მოგაყიდოთ“.

რძე კვების ერთადერთი პროდუქტი როდია, რომელიც გაქრა ქვანახშირის რაიონების მრავალი ოჯახის რაციონში. ხორცს თვეში ერთხელ ჭამენ, ზოგიერთს კი მისი გემოც დავიწყდა. სულ უბრალო კვება მალე იქცევა ფუფუნებად, როცა უმუშევრობა თვეობით, ანდა წლობითაც გრძელდება.

მამები ტოვებენ სახლს არა მარტო იმიტომ, რომ სამუშაო ეძებონ, არამედ იმიტომაც, რომ ვეღარ უყურებენ იმას, რომ მათ თვალწინ ბავშვები ცოცხალ ჩონჩხად იქცევიან.

თუ ოჯახი იშლება, ეს შიმშილის ბრალია, რომელიც მათ გულს აცლის. ის „მარტოხელა მამაკაცები,“ რომლებიც გზებზე ვნახე, მხოლოდ იმიტომ იყვნენ მარტოხელები, რომ მიეტოვებინათ თავიანთი ოჯახები იმ იმედით, რომ როცა სამუშაოს იშოვნიან, თავიანთ ცოლ-შვილს გამოიძახებენ.

როცა ოჰაიოს და პენსილვანიის ქალაქებში, სადაც მეტალურგიული საწარმოებია, ჯერ კიდევ იყო სამუშაო, ცხოვრება ფეიქრებოდა. მაგრამ მალე „დაქვეითება“ ნისლივით მოედო მეტალურგიულ მრეწველობას. მეტალურგიულ საწარმოებში ისეთივე მდგომარეობა შეიქმნა, როგორც ქვანახშირის შახტებში: მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციაზე მოხაცებენ 200 ათასზე მეტი მუშა გამოყარეს ქუჩაში.

შიმშილი ბევრი სახლის მუდმივი სტუმარი გახდა.

ვაჭრობის მინისტრმა ლუთერ ჰოჯესმა, რომელიც ევროპაში დიდი მოგზაურობიდან დაბრუნდა, სადაც იგი ბირჟის მაგნატებმა მიიღეს, ახნდ ეანაცხადა, რომ „დაქვეითება“ ამერიკის შეერთებულ შტატებში დამთავრდა. პრეზიდენტ კენედის ბანკეტიდან ბანკეტამდე შეუძლია ენთუზიაზმით განაცხადოს, რომ „დაქვეითება“ დამთავრდა.

მაგრამ დაავიწყდათ, რომ ეს კარგი ახალი ამბავი შეეტყობინებინათ დამშეული ბავშვებისათვის, უმუშევარი მეშახტეებისა და მელითონეებისათვის.

როგორც ჩანს, დაასკვნის ნიუბერი, სიტყვა „დაქვეითება“ სხვადასხვა რამეს ნიშნავს სხვადასხვა ადამიანისათვის.

ვის აწუხებს ცუდი კვება ორსული ახალგაზრდა ქალისა, რომელიც დგას გზის პირად დასავლეთ ვირჯინიაში, როცა აპარატი, რომელიც ბირჟის ახალ ამბებს ბეჭდავს ლენტზე, ისეთ მოგებას უჩვენებს, რომელიც ბიზნესმენთა მცირე ჯგუფს საშუალებას აძლევს მაძღრისად ისადილოს „უოლდორფ-ასტორიაში“. ში“.

თავისუფლება, ერთიანობა...

სტენლივილი, 17 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფედიაშინი იუწყება:

გუშინ სტენლივილიდან ლეოპოლდვილში გაემგზავრნენ კონგოელი ხალხის წარმომადგენელნი — დეპუტატთა პალატისა და სენატის წევრები, რათა მონაწილეობა მიიღონ კონგოს რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს — პარლამენტის მუშაობაში.

პარლამენტის მოწვევას დაბეჭითებით და განხურულად ცდილობს კანონიერი მთავრობა, რომელსაც ანტუან გიზენგა და მისი მომხრენი მეთაურობენ. კონგოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა პარლამენტის მოწვევას უკავშირებს სანუკვარ ოცნებებსა და იმედებს — მშვიდობიანი გზით, სისხლის დაუღვრელად ბოლო მოეღოს ომსა და ანარქიას, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს კონგოელ ხალხს.

კონგოს პარლამენტის წევრებს, რომლებიც ლეოპოლდვილს გაემგზავრნენ, ახურავთ ყვითელი, მწვანე და ღიღილოსფერი ტრადიციული ქუდები. ეს ფერები წარმოადგენენ კონგოელი ხალხის სიმდიდრის, თავისუფლებისა და იმედის სიმბოლოს. ქუდებზე ვერცხლისფერი ძაფით ამოქარგულია სიტყვები: „ერთიანობა“ და „ღუმუმბელი“.

დეპუტატებსა და სენატორებს მშვენივრად ესმით, რომ „ლოვანიუმის“ უნივერსიტეტში (უნივერსიტეტი ლეოპოლდვილის გარეუბანში, სადაც გაიმართება პარლამენტის სესია. — **კორესპ. შენიშვნა**) მათ მოელით ძნელი და დაძაბული ბრძოლა: ჯერ კიდევ ცოცხალია მეხსიერებაში მოგონება, თუ როგორ სასტიკად გაუსწორდნენ პატრის ლუმუმბასა და სხვა მგზნებარე კონგოელ პატრიოტებს. სწორედ ამას ეუბნებოდნენ თქვენს კორესპონდენტს გამგზავრების წინ სენატის მდივანი საუმანი სენგჰი, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე ჟოზეფ მიდიბურო, დეპუტატთა პალატის ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი დიომასომბო, სენატორი ლიომი არმანდი და სხვები. მათ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ მათი მაღალი მისია წარმატებით დამთავრდება.

კონგოს ეროვნული არმიის ჯარების მესამე ჯგუფის სარდალმა პოლკოვნიკმა ანგოიმ სენატის წევრებსა და დეპუტატებს მისცა განაწესი მტკიცედ დაიცვან ქვეყნისა და მისი ხალხის ინტერესები პარლამენტში. თქვენ, ბაზგასმით აღნიშნა მან, შეგიძლიათ სავსებით გულდამშვიდებული იყოთ მდგომარეობისათვის სტენლივილისა და პროვინციაში. ჩვენ, ჯარისკაცები, ფხიზლად დავიცავთ სიმშვიდეს და აღვკვეთავთ მისი დარღვევის ყოველგვარ ცდას.

აღმოსავლეთ პროვინციის სახელმწიფო კომისარმა დავიდსონ ბოშელემ განაცხადა: წმიდა მოვალეობაა გამოვიდეთ ერთიანი ფრონტით, მხარდაჭერა. მხოლოდ ეს არის გამარჯვების საწინდარი. გახსოვდეთ, ჩვენი მოწინააღმდეგენი ყოველ საშუალებას გამოიყენებენ თავიანთი მიზნების მისაღწევად. ამიტომ თქვენ ფხიზლად უნდა იყოთ, ბაზგასმით აღნიშნა მან.

პარლამენტში სიფხიზლისა და ძალების ერთიანობისაკენ მოუწოდა აღმოსავლეთ პროვინციის მთავრობის მეთაურმა ჟან მაზინკალამ.

წმასლელთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა კონგოს ეროვნული მძრაობის პარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ შინაგან საქმეთა მინისტრმა კრისტოფ გბენიემ. ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვეწევით, განაცხადა მან, ისახავს ერთი მთავარი მიზნის მიღწევას: შევინარჩუნოთ ჩვენი ქვეყნის ერთობა და მთლიანობა. ეს ძალლონესა და სიმტკიცეს გვმატებს. ეს გვიჩვენებს ერთადერთ სწორ საშუალებას წარმატების მისაღწევად — ყველა ნაციონალისტის გაერთიანებას. მხოლოდ ასე მივაღწევთ გამარჯვებას.

ხმამაღლა შეძახილებით: „თავისუფლება“, „ერთობა“, დეპუტატები და სენატორები სხდებიან თვითმფრინავში. „რამდენიმე წუთში თვითმფრინავი, რომელსაც ათასობით ადამიანი აციდებდა მისალმების შეძახილებით და ხელისქნევით, მოწყდა მიწას და კურსი აიღო სამხრეთ-დასავლეთისაკენ

მეორე თვითმფრინავით ლეოპოლდვილში გაემგზავრა პარლამენტართა ჯგუფი დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ჟოზეფ კასონგოს მეთაურობით.

კანონიერი მთავრობის მეთაური ანტუან გიზენგა ავადმყოფობის გამო იძულებულია რამდენიმე დღით გადადოს ლეოპოლდვილში გამგზავრება.

„მოსკოველები ძალიან გულითადი ადამიანები არიან“

პარიზი, 17 ივლისი. (საკდესი). ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი ელიზაბეტ ტეილორი მოსკოვიდან პარიზს ჩამოვიდა. მან კორესპონდენტებს განუცხადა, აღტაცებული ვარ მიღებით, რომელიც მოსკოველებმა მომიწყეს. „ისინი ძალიან გულითადი ადამიანები არიან და მე ძლიერ მსურს მივიღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ფილმში, მაგალითად, შევასრულო ანა კარენინას როლი. ეს ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის კულტურული კონტაქტების განვითარებას“.

ქომუნისტი

მე-3 გვერდი, ოთხშაბათი.

19 ივლისი, 1961 წ.

პენტაგონი თაკილუულების ჩამსმელებს აძლევენ

პანამა, 17 ივლისი. (საკდესი). პანამის არხის ზონაში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირს დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების არმის შტაბის უფროსი ჯორჯ დეკერი, ამერიკის შეერთებული შტატების კარიბის ზღვის რაიონის შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ენდრიუ ო' მირა და ამერიკის შეერთებული შტატების არმის შტაბის უფროსის მოადგილე გენერალ-მაიორი ფიტჩი.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტო პანამიდან იუწყება, ძირითადი საკითხი, რომელსაც ეს თათბირი განიხილავდა, იყო ლათინური ამერიკის ყველა სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გაერთიანებული ფრონტის შექმნა.

ტუნისის პარლამენტის საგანგებო სხდომა

ტუნისი, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს გაიმართა ტუნისის პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელიც პრეზიდენტმა მოიწვია ბიზერტიდან საფრანგეთის ჯარების ევაკუაციის საკითხის განსახილველად. სხდომაზე გამოვიდა ტუნისის პრეზიდენტი ბურგიბა, რომელმაც გაანცხადა, რომ ტუნისს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს საფრანგეთის ჯარების ევაკუაციას ბიზერტიდან.

ბოლივიის ეკონომიკა

ბუენოს-აირესი, 17 ივლისი. (საკდესი). ბოლივიის ეროვნული ეკონომიკა ინფლაციის ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ინფლაციის ინდექსი 1960 წლის ბოლოს 1957 წლის ბოლოსთან შედარებით 1000 პროცენტს აღწევს. ინფლაციის ინდექსი 1957 წლიდან 1960 წლამდე 1000 პროცენტს ეტოლება. ინფლაციის ინდექსი 1957 წლიდან 1960 წლამდე 1000 პროცენტს ეტოლება.

ტელეგრაფი გვატყობინებს

100 დოლარი ჯარიმა უშიშარი მოქმედებისათვის

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ნიაგარა-ფოლსიდან (ონტარიო) იუწყება:

30 წლის ზანგს ნიუ-იორკელ ნატან ბოიას, რომელიც 15 ივლისს უშიშრად დაეშვა ნიაგარის ჩანჩქერით, დღეს მიუსაჯეს 100 დოლარი ჯარიმა.

ბოიამ გადაიხადა ჯარიმა, რომელიც მოსამართლის განცხადების თანახმად მაქსიმალურია ასეთი საქციელისათვის. ჯარიმა რომ არ გადაეხადა, ბოიას მიუსჯიდნენ ერთი თვის პატიმრობას.

მას წაუყენეს ბრალდება, რომ ნებართვის მიუღებლად ჩაიდინა „მოქმედება, რომელიც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს ადამიანთა შეჯგუფება ნიაგარა-ფოლსის პარკის კომისიის წესების წინააღმდეგ“.

ახალი ანტიკუბური პროვოკაცია

ჰავანა, 18 ივლისი. (საკდესი). პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი, იმოწმებს რა გაზეთ „ვოს ობერერას“, ქალაქ სან-სალვადორიდან იუწყება, რომ სალვადორში გაიწვიეს დაქირავებულნი და ეროვნული გვარდიის რეზერვისტები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალ ი

რეპერტუარი და ხელოვნება

„ტრავიატას“ ახალი სიცოცხლე

ოპერა „ტრავიატას“ ახალი დადგმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

30 ივნისს და 8 ივლისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატა“ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის დიმიტრი მჭედლიძის ახალი დადგმით.

„ტრავიატა“ კლასიკური საოპერო მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და მისი სცენური სიცოცხლე მრავალ ათეულ წელს ითვლის. ეს ოპერა პირველად ვენეციაში დაიდგა 1853 წლის 6 მარტს. მუსიკის ხალხურმა ხასიათმა, მუსიკალური მეტყველების არაჩვეულებრივმა მელოდიურობამ და მისაწვდომობამ გამოიწვია ის, რომ ეს ოპერა თითქმის 110 წელია არ სცილდება მსოფლიოს საოპერო სცენებს.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჯ. ვერდიმ შექმნა მთელი რიგი ოპერები, რომელთა გმირები ჩაგრული ადამიანები, სოციალური უსამართლობის, სოციალური უთანასწორობის მსხვერპლნი არიან („რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „ტრუბადური“). ვიოლეტა ერთ-ერთი ასეთი მსხვერპლია. ტრავიატას, რაც იტალიურად მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ნიშნავს, შეუყვარდა ძველი აზნაურის ოჯახის შვილი ალფრედი. მაგრამ იძულებულია მსხვერპლად შესწიროს თავი, დაშორდეს თავის მიჯნურს, რათა თავიდან ააცილოს კონფლიქტი, რომელიც ალფრედის ოჯახში მწიფდება.

დიმიტრი მჭედლიძემ ახლებურად წაიკითხა ოპერა „ტრავიატა“ და შეეცადა ახალი სიო შეეტანა მის ინტერპრეტაციაში. ყველა აქტის სამხატვრო გაფორმება შეფარდებულია ერთ აზრთან: მაშინ როცა გვერდითი მოფარდულობა უცვლელია, სცენის უკანა კედელი წარმოადგენს მოქმედების მოცემული ადგილის დამახასიათებელ დეკორაციას. ყველა აქტში ეს დეკორაციები დაწერილია მკაფიოდ, ხატოვნად და წარმოადგენს ფონს სცენაზე მიმდინარე ამბების ასახსნელად. მხატვარ ი. ასკურავას ჩინებულად შეუსრულებია დამდგმელის ჩანაფიქრი, და დეკორაციები უთუოდ შემოქმედებითი გამარჯვებაა. თავდაპირველი რედაქციით „ტრავიატა (ვიოლეტა), ტრაგიკული ოპერა“, შედგებოდა 3 მოქმედებისაგან 4 სურათად. მომდევნო წლებში მეორე და მესამე სურათები დამოუკიდებელ მოქმედებებად იქცა. დიმიტრი მჭედლიძე თავდაპირველ რედაქციას დაუბრუნდა, მისი დადგმით ოპერას აქვს 3 მოქმედება 4 სურათად. ახალი აღმოჩნდა აგრეთვე ალფრედის „ალეგრო“ მეორე აქტის პირველ სურათში, რომელიც ჩვეულებრივად გამოტოვებულია ხოლმე.

დამდგმელს დიდი მუშაობა გაუწევია გუნდთან, გაუცოცხლებია მასა, შეუქმნია მთელი რიგი ახალი და საინტერესო დაჯგუფებანი. კარგია ფლორასთან მკითხაობის სცენა მეორე აქტის მეორე სურათში ზ. კიკალეიშვილის მიერ დადგმული მშვენიერი ესპანური ცეკვით.

„ტრავიატას“ შემსრულებელთა ორი შემადგენლობა ჰყავს. ვიოლეტას პარტიას 30 ივნისს გაიარა დოლიძე ასრულებდა. მშვენიერმა სცენურმა გარეგნობამ, შესრულების გარკვეულმა სითბომ და მუსიკალობამ ხელი შეუწყო უბედური ვიოლეტას მომხიბლავი სახის შექმნას და უაღრესად დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. მომღერალი, რომელსაც ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო აქვს, უფრო ხშირად უნდა მიმართავდეს „პიანოს“, ვინაიდან ყველგან და ყოველთვის როდი შეიძლება სრული ხმით მღეროდე.

წარმატება ჰქონდა ვიოლეტას პარტიის მეორე შემსრულებელსაც — ლ. ჭანტურიას. სასიამოვნო გარეგნობამ, მკაფიო დიქციამ, მუსიკალურმა ფრაზამ, გულწრფელობამ, ინტერპრეტაციის უშუალობამ, მსუბუქი აჟურული კოლორატურული სოპრანოს მომხიბლავმა „პიანომ“ მაყურებელთა დარბაზის საერთო მოწონება გამოიწვია. ახალგაზრდა მომღერალს მთელი რიგი დადებითი მონაცემები აქვს.

ალფრედის პარტიას პირველ სპექტაკლში თენგიზ ზაალიშვილი ასრულებდა. მომღერალმა, რომელსაც განსაკუთრებით ლამაზი, რბილი ტემბრის ლირიკული ტენორი აქვს, ალფრედის სასიამოვნო და შთამბეჭდავი სახე შექმნა.. უფრო თბილი სცენური გადმოცემა გააღრმავებს დადებით შთაბეჭდილებას, რომელსაც მომღერალი ამდენს.

მეორე სპექტაკლში 8 ივლისს ალფრედის პარტიას ასრულებდა ა. ჩაკალიდი. ეს მომღერალი კარგად არის ცნობილი თბილისელი მაყურებლისათვის — მთელი რიგი წლების განმავლობაში არაერთხელ გამოსულა ალფრედის პარტიაში. მისი ლამაზი ხმა და სცენური გამოცდილება თავის დროზე აღნიშნულა პრესაში.

ეერმონის პარტიაში თავისი მაღალი ვოკალური ოსტატობა და დიდი სცენური ნიჭი გვიჩვენა თბილისელი მაყურებლის საყვარელმა მომღერალმა პეტრე ამირანაშვილმა.

ამ პარტიის მეორე შემსრულებელი იყო შოთა კიკნაძე. მომღერლის რბილი, ხავერდოვანი ტემბრის მშვენიერი ბარიტონი და დარბაისლური გადმოცემა ღირსეულად შეფასეს მაყურებლებმა.

დანარჩენი პარტიების ყველა შემსრულებელნი ორივე სპექტაკლში: ფლორა—თ.ლობჟანიძე და ვ. მიხაილოვა, ანინა — ე. კუკულაძე, ბარონი დიუფოლი — შ. თაბუკაშვილი, დოქტორი გრენვილი — ა. მეძველია და მ. მალიაროვი და სხვ. ჯეროვან პროფესიულ სიმაღლეზე იყვნენ და საერთო ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

ძალიან კარგნი იყვნენ ესპანურ ცეკვაში ი. იახინსკაია, ნ. გოგილავა, ვ. კუკულაძე და ბალეტის მსახიობთა ჯგუფი.

ჩინებულად ეკერდა ორკესტრი ნიჰიერი დირიჟორის გივი აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით.

სასიამოვნოდ და საინტერესოდ გაისმა ჯ. ვერდის ძველი ოპერა „ტრავიატა“ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის დიმიტრი მჭედლიძის ახალი დადგმით.

მ. ქავთარაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გულითადი საუბარი.
ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

გასტროლებზე ქუთაისში

კარგა ხანია რუსთაველის თეატრი ქუთაისში იმყოფება გასტროლებზე. მან იქ წაიღო თავისი საუკეთესო დადგმები, უმთავრესად კი ქართული ორიგინალური პიესები. გასტროლებზე განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა დ. გაბუნიძის „ბახტრიონსა“ და პ. კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველის თეატრს ქუთაისის ლ. მესხიშვილის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლების გარდა თითქმის ყოველდღე აქვს გასვლითი წარმოდგენები. სამტრედიაში ღია ცის ქვეშ აჩვენეს „ოიდიპოს მეფე“, ხოლო კლუბში—კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“ და ვ. როზოვის „ხალისიანი მეგობრები“. იგივე პიესები დაიდგა ქუთაისის ავტომექანიკანაში. ბრეშუმის კომბინატში წარმოდგენილი იყო ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“. სპექტაკლები ნაჩვენები იქნა აგრეთვე წყალტუბოს, მაიაკოვსკის და სხვა რაიონების მშრომელთათვის.

ქუთაისში გასტროლები 24 ივლისამდე გასტანს. შემდეგ თეატრი რამდენიმე დღეს მოეესახურება ტყიბულელ მშრომელებს.

სურათზე: ვიოლეტა — გ. დოლიძე, ალფრედი — თ. ზაალიშვილი.

ორმოცი წლის ანსამბლი

ორმოცი წელი უსრულდება აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლმა უდიდესი მუშაობა გასწია ქართული ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული კულტურის განვითარების საქმეში.

აჭარაში ხალხური მუსიკალური კულტურის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნობილ ლოტბარ მელიტონ კუხიანიძის სახელთან.

ათ წელზე მეტხანს მოუხდა მელიტონ კუხიანიძეს ქუთაისში მოღვაწეობა, მრავალი მუსიკოსი აღზარდა, ოსტატურად ხელმძღვანელობდა ხალხურ როგორც სამხმოვან, ისე ოთხხმოვან ქალ-ვაჟთა შერეულ გუნდებს. კუხიანიძის საგუნდო-სალოტბარო ხელოვნებამ ყურადღება მიიპყრო, და დედაქალაქში სთხოვეს გადასვლა, მაგრამ მან აჭარას მიაშურა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წლიდან მელიტონ კუხიანიძე სათავეში ჩაუდგა ბათუმის მშრომელთაგან ჩამოყალიბებულ ქალ-ვაჟთა შერეულ გუნდს, რომელმაც შემდეგში კაპელის სახე მიიღო. პარალელურად მ. კუხიანიძე ბათუმის ცენტრალურ მუშათა კლუბთან არსებულ გუნდს ხელმძღვანელობს. ამ გუნდის ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი ვასო ხანთაძე აღტაცებით იგონებს განსვენებული მელიტონის დაუშრეტელ ენერგიას, ხალხური ეროვნული მუსიკალური კულტურის დიდ სიყვარულს.

— ოთხი წელი (1910-1914) ვმღეროდი მ. კავსაძესთან თბილისში, — ამბობს ვ. ხანთაძე, — მრავალი ქართულ-კახური სიმღერა ვისწავლე და, როცა ბათუმში საცხოვრებლად გადავედი, იქ პირველად ჩამოვაყალიბე ქართულ-კახურ სიმღერათა გუნდი.

თებერვლის რევოლუციის პერიოდში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დამკისრა ბათუმის ქართული დრამატულ თეატრში საგუნდო სიმღერების ხელმძღვანელობა. ამავე დროს პარალელურად ხალხურ სიმღერებს ვასწავლიდი ქართული სამუალო სკოლის მოწაფეებს.

მაგრამ როგორც ჩემი, ისე სხვა მომღერალი ლოტბარების ცოდნა, გამოცდილება და საქმიანობა საკმაებით შეიცვალა მელიტონ კუხიანიძის ბათუმში გამოჩენისთანვე. ეს ჯადოქარი ლოტბარი ყველას ატყვევებდა თავისი უაღრესად ფაქიზი გემოვნებით და შესანიშნავი მუსიკალური ალღოთი. მისი მაღალი მუსიკალური კულტურა სწორ მიმართულებას გვაძლევდა, სიმღერის ელფერს გვიფალეთონდა. მ. კუხიანიძესთან მღეროდნენ გამოჩენილი ქართველი ვოკალისტები: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი დ. ანდღულაძე, რუსეთის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ნ. ბელაქნელი, გ. ყიფიანი და სხვები.

აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ოცდახუთმეტი წლის წინათ პირველად გაემგზავრა საგასტროლოდ საბჭოთა კავშირის დედაქალაქსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში. აჭარის კაპელის შესრულებით მომხიბვლელად აჟღერდა ხალხური სიმღერები და ქართული კლასიკური მუსიკის შესანიშნავი ნაწარმოებები.

ახლა მ. კუხიანიძის მოწაფის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მ. ჩხიკვიშვილის მონდომებული მუშაობის შედეგად აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც გაუთქვა სახელი საბჭოთა საქართველოს მდიდარ მუსიკალურ კულტურას და ქორეოგრაფიას, ხელი შეუწყო ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას.

ლ. გეგეჭკორი.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლე თითქმის სავსე იყო ძალოსნობის მოყვარულებით.

მეოთხე გამარჯვება

აქ ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შტანგისტთა ნაკრები გუნდები, იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთა რიგებში იყვნენ არა ერთი სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, მსოფლიო რეკორდსმენები, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები.

ამ ორი ქვეყნის შტანგისტთა შეხვედრებს თითქმის ყოველთვის არაოფიციალურ მსოფლიო პირველობად თვლიან, იგი ამასთანავე გამოირჩევა მაღალი სპორტული შედეგებით. აღსანიშნავია ისიც, რომ დღემდე რეგისტრირებულ მსოფლიოს 28 რეკორდიდან ამ ქვეყნების წარმომადგენლებს ეკუთვნით 23, აქედან სსრ კავშირს 16, ამერიკის შეერთებულ შტატებს — 7.

ყოველივე ამან გუშინდელ მატჩს განსაკუთრებული ელფერი მისცა. აი მოწინააღმდეგენიც გამოდიან არენაზე. სტუმართა რიგებში არიან ჩ. ვინჩი, ი. ბერგერი, ლ. რიკე, ვ. მარჩი, ს. ჰენრი. ამერიკელებს ორ წონითს კატეგორიაში (მსუბუქი და ქვესაშუალო წონა) სპორტსმენები არ ჩამოუყვანიათ. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ—ა. ვახონინი, რ. ჩიმიშკიანი, ა. მაიასინი, ნ. კოსტილევი, ვ. ლიახი, ვ. სტეპანოვი და ი. ვილკოვიჩი.

იწყება შეჯიბრება. ფიცარნაგზე ერთმანეთს ცვლიან სხვადასხვა წონის შტანგისტები. სპორტსმენები პირველად ერთმანეთს ეცილებოდნენ შტანგის აწევაში, ხოლო შემდეგ ატაცსა და აკვრაში.

მჩატე წონაში მეოთქვსმეტე და მეჩვიდმეტე ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის ჩ. ვინჩის წინააღმდეგ გამოდიოდა სსრ კავშირის რეკორდსმენი ა. ვახონინი. საბჭოთა სპორტსმენმა ამ შეჯიბრებაში აკრა 132.5 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. ხაშმეიდი ჩ. ვინჩმა აჩვენა 337 კილოგრამი და პირველი ადგილი დაიკავა.

მომდევნო წონაში პირველობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონ რ. ჩიმიშკიანსა და მსოფლიო რეკორდსმენ ი. ბერგერს შორის. უკანასკნელ მოძრაობაში (აკვრა) ორივე მოწინააღმდეგემ აჩვენა 142,5 კილოგრამი, მაგრამ სამეიდში უკეთესი შედეგი (352,5 კილოგრამი) აღმოჩნდა ამერიკელ ძალოსანს და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა.

მსუბუქ და ქვესაშუალო წონაში ამერიკელებს შტანგისტები არ გამოუყვანიათ, აქ გამარჯვება ხვდათ ა. მაიასინსა და ნ. კოსტილევს. პირველს სამეიდში ჰქონდა 348 კილოგრამი, მეორეს — 397 კილოგრამი.

ამერიკელმა ლ. რიკემ აკვრაში მიიღო შეფასება — 0.აქ გამარჯვებული გამოვიდა ვ. ლიახი, რომლის შედეგი 420 კილოგრამი. ქვემძმიე წონაში ვ. სტეპანოვისა და ვ. მარჩის ორთაბრძოლა დამთავრდა საბჭოთა შტანგისტის გამარჯვებით (442,5 კილოგრამი). მძიმე წონაში პირველი ადგილი დაიკავა.



ს. ჰენრიმ ძლია მეტოქეს — ი. ვილკოვიჩს და 460 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა.

ამრიგად სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შტანგისტთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ასპარეზობა თბილისში დამთავრდა საბჭოთა ძალოსნების გამარჯვებით 4:3. ეს საბჭოთა ნაკრების მეოთხე გამარჯვებაა.

გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

• • •

სურათზე: საბჭოთა შტანგისტი ვ. სტეპანოვი თაიგულსა და სამკერდე ნიშანს უძღვნის ამერიკელ ვ. მარჩის შეხვედრის წინ.

ფოტო ბ. დადვაძისა.

სპორტი

მარკ ტაიმანოვი— პირველ ადგილზე

დორტმუნდში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი 7 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელთა შორის იყვნენ გროსმაისტერები, საერთაშორისო ოსტატები, ოსტატები. საბჭოთა კავშირიდან ტურნირზე მიწვეული იყვნენ გროსმაისტერები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი და გროსმაისტერი მ. ტაიმანოვი.

შეჯიბრებას თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები და ლიდერობა არავისთვის დაუთმიათ. განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა პარტიები მარკ ტაიმანოვმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. საბჭოთა გროსმაისტერმა 11 შესაძლებლობიდან 8 ქულა შეაგროვა.

მეორე და მესამე ადგილებისათვის იბრძოდნენ საბჭოთა და იუგოსლავიელი მოჭადრაკეები — სმისლოვი და უდოვჩიჩი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა უკანასკნელ ტურებში ვერ შეძლო მიეღწია გადამწყვეტი უპირატესობისათვის და შვიდ-შვიდი ქულით მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს.

ტურნირში გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

სსრ კავშირის პირველობაზე

გუშინ მოსკოვსა და ლენინგრადში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები ფეხბურთში.

მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდები. მატჩის შედეგია 5:2 დინამოელთა სასარგებლოდ.

ლენინგრადში რიგის „დაუგავა“ შეხვდა ლენინგრადის „ადმირალტეეცის“ ფეხბურთელთა კოლექტივს. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ — 1:1.

ნოგინსკის ტრეკზე

ნოგინსკი, 17 ივლისი (საკდესი). აქ ქალაქის ახალ ტრეკზე გაიმართა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი სალიდერო რბოლაში. ჩემპიონის წოდება მოიპოვა არმიელთა წყვილმა — მრბოლმა ნ. კობზევმა და ლიდერმა ვ. დომბროვსკიმ.

ჩემპიონატის ფინალურ რბოლაში ნ. კობზევმა და ვ. დომბროვსკიმ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს ერთსაათიან რბოლაში — 71,1 კილომეტრი. მთავე ნახევარფინალში გაუმჯობესეს ჩვენი ქვეყნის რეკორდი 50 კილომეტრზე რბოლაში.

ბრაზილიის „სანტოსი“ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ყოველწლიურად ჩამოდის ევროპაში, მაგრამ ასეთი წარმატებებისათვის არასოდეს მიუღწევია. ეურნალ „ფუსბალ-ვოხეს“ მიმომხილველის ცნობით, წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთესად თამაშობენ „სანტოსის“ ჯაბუკი ფორვარდები, განსაკუთრებით კუტინიო (№ 9).

აი მოულოდნელობაც. ამ დღეებში „სანტოსი“ ათენში შეხვდა ადგილობრივ „ოლიმპიაკოსს“, რომელსაც მეორე ადგილი უჭირავს საბერძნეთის ჩემპიონატის ცხრილში. მატჩი დამთავრდა „სანტოსის“ დამარცხებით (1:2). ეს ამისი მეორე დამარცხებაა წლევანდელი გასტროლების დროს.

„სანტოსის“ წლევანდელი გასტროლები ესპანეთში დამთავრდება.

19 ივლისი

თეატრები: უკრაინის დნეპროპეტროვსკის ტ. შევჩენკოს სახელობის დრამატული თეატრი — ბედშვი (რუსთაველის სახელობის თეატრში), ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ლატერნა მაგიკა.

ტელევიზია: 18.00 — გადაცემა „უკვდავია მათი სახელი“. 18.30 — ფეხბურთში 1961 წლის პირველობის გათამაშების კალენდარულ მატჩის რეპორტაჟი „ქარიშხალს“ სტადიონიდან. — 20.30 — გადაცემა „ვაჟა-ფშაველა“ (რუსულ ენაზე). 21.10 — ახალი ამბები. 21.25 — მხატვრული ფილმი „რეპეტიცია გრძელდება“.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ამბები, ფაქტები, ცნობები

ახალი სანატორიუმი წყალტუბოში

წყალტუბო. (საკ. კორ). ჯანმრთელობის საკავშირო კერას კიდევ ერთი დიდებული მონუმენტური ნაგებობა შეემატა. 6 ივლისიდან მწყობრში ჩადგა ახალი, დიდი სანატორიუმი „იმერეთი“.

ახალი სანატორიუმი, რომლის აგებაზე 32 მილიონი მანეთი (ძველი ფულით) დაიხარჯა, 300-საწოლიანია. მას აქვს უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი სამკურნალო კაბინეტები, მათ შორის ჰიდროპათიური მკურნალობის კაბინეტი, ფიზკულტურის მოედანი, კომფორტაბელურად მოწყობილი საუცხოო საკონცერტო დარბაზი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ავტომატური ტელეფონის სადგური.

კვების ბლოკს და სასადილოს ერთდროულად შეუძლია გაატაროს სანატორიუმის ყველა დამსვენებელი. ავადმყოფ-დამსვენებელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 180 მუშაკი, მათ შორის 12 ექიმი.

ვაჟა-ფშაველას სახელოგის ძუჩა

ონის რაიონის მშრომელები დიდი მონდომებით ემზადებიან ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისათვის. სასოფლო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მოეწყო პოეტისა და მწერლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენები, გაიმართა მკითხველთა კონფერენციები.

ამას წინათ ონის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა იუბილარის პატივსაცემად რაიონულ ცენტრში ერთ-ერთ ქუჩას დაარქვა ვაჟა-ფშაველას სახელი.

ა. გუგეშაშვილი.

კეთილშობილური საქციელი

ამას წინათ ქალაქ ცხაკაიას მცხოვრებ ჭიჭიკო გოგიას ზუგდიდი მოგზაურობის დროს ავტობუსში დარჩა საფულე, რომელშიც 250 მანეთი და საბუთები იდო. საფულე იპოვნა ცხაკაიას ავტოკანტორის მძღოლმა გ. სალუქვაძემ, რომელმაც იგი პატრონს დაუბრუნა.

ს. კუჭავა.

„მისი ზღვარია თვით ცა“

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკდესი). ორი დღეა ნიუ-იორკის გაზეთები მთელ გვერდებს უძღვნიან მოსკოვიდან მიღებულ მასალებს საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა გუნდების მატჩის შესახებ. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსოფლიოს მძლეოსანთა ორი უძლიერესი გუნდის დაძაბულ და მეგობრულ ბრძოლაში იმვა 6 ახალი მსოფლიო რეკორდი. ვალერი ბრუმელსა და რალფ ბოსტონს გაზეთები უწოდებენ მატჩის მთავარ გმირებს. დღევანდელი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ და „დელი ნიუსი“ თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ ფოტოსურათს: ბრუმელი ძლევს სარეკორდო სიმაღლეს — 2 მეტრსა და 24 სანტიმეტრს.

ფოტოსურათი „ნიუ-იორკ ტაიმსში“ მოთავსებულია წარწერით: „მისი ზღვარია თვით ცა“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბრწყინვალე შედეგი ბრუმელმა უჩვენა ისეთ პირობებში, როცა წვიმა მოდიოდა, და მოაგონებს მკითხველს, რომ ეს არის საბჭოთა სპორტსმენის ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მის ამერიკელ მეტოქე ჯონ ტომასზე. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ სპორტის მიმომხილველი წერს: „კოკისპირულმა წვიმამ, რომელიც შეჯიბრების ბოლოს მოვიდა, ვერ შეანელა 70.000 მაყურებლის ინტერესი, რომლებიც შეიკრებნენ ლენინის სახელობის სტადიონზე, და ვერაფერი დააკლო ვალერი ბრუმელისა და რალფ ბოსტონის დიდებულ სპორტულ ოსტატობას. გაზეთს მოჰყავს ტომასის სიტყვები: „მოხარული ვარ, რომ ჩემი დამარცხებისათვის საჭირო გახდა ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება“.



„სანტოსის“ დამარცხება

ბრიუმფალურ გამარჯვებებს მიაღწია წლევანდელი გასტროლების დროს ევროპაში ბრაზილიის ერთ-ერთმა საუკეთესო საკლუბო გუნდმა „სანტოსმა“, რომელმაც ორი თვალსაჩინო საერთაშორისო ტურნირი მოიგო („რესინგის“ ტრადიციული ტურნირი პარიზში და „იტალია — 1961 წელი“). საყურადღებოა, რომ პელეს კლუბმა დაამარცხა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ლისაბონის „ბენფიკა“ (6:3), პარიზის „რესინგი“ (5:2). იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი“ (2:0), მილანის „ინტერნაციონალე“ (4:1) და სხვა პირველხარისხოვანი გუნდები.

ხელოვნების ქრონიკა

ზუგდიდის თეატრი თელავში

თელავი. (საკ. კორ.). თელავში საგასტროლოდ ჩამოვიდა ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.

ზუგდიდის თეატრის საგასტროლო რეპერტუარშია: ა. ფურცელაძის „მაცი ხვიტია“ (პიესად გადაკეთებული გ. ლაღიძის მიერ), ა. ოდიშარის „სიცოცხლის ტყე“, ფლეტჩერის „როგორ უნდა მოვარჯულოთ ცოლი“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ვ. ახალაცაშვილის „გულისა“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რ. ლეზგიშვილის „გული გულთან“ და დ. თაქთაქიშვილის „ჭკვიანი ცოლი“.

თეატრი გასვლით სპექტაკლებს მართავს რაიონის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

პრემიერა სტალინირის თეატრში

ამ დღეებში სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა სეზონის უკანასკნელ პრემიერად მაყურებელს უჩვენა რ. ქორქიას სამმოქმედებიანი კომედია „პიანინო“. სპექტაკლი დადგა დასის მთავარმა რეჟისორმა ს. ახალაძემ, მხატვრულად გააფორმა დ. მირიანაშვილმა, მუსიკა დაწერა ზ. ლოლაძემ.

ა. ცაბაძე.

გორის თეატრი ლაგოდეხში

ოთხ დღეს გრძელდებოდა გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები ლაგოდეხში. ყოველდღიურად დიდძალი მაყურებლები ესწრებოდნენ წარმოდგენებს.

ლაგოდეხელები გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობების ნინო ზალდასტანიშვილის, ნინო ბერობაშვილის, რუსუდან ლორთქიფანიძის, შალვა ხერხეულიძის, ივანე ოსაძის გამოსვლებს.

დაუვიწყარი სახეები შექმნეს ქეთევან ბოჭორიშვილმა, როზა ცაბაძემ და სერგო ტატალაშვრლმა პ. კორნელის ტრაგედია „სიდში“.

უკანასკნელ საღამოს ლაგოდეხელებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს გორის თეატრის მსახიობებს.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა გორის თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ნავროზაშვილი.

მ. გოგოსაშვილი.

აგიტმხატვრული გრიგადა სოფელში

ცაგერი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს რაიონული კულტურის სახლთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც გ. მდივანი ხელმძღვანელობს. ამას წინათ ბრიგადა ესტუმრა მაღალმთიან ლუხვანოს კოლმეურნეობას. რაიონული კულტურის სახლის დირექტორმა რ. ბაქრაძემ კოლმეურნეებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ჩვენი ამოცანები“.

მხატვრულ განყოფილებაში ნაჩვენები იქნა სკეტჩი „სამოთხის ჩიტი“.

ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. მდივანმა წაიკითხა იუმორისტული ლექსები.

საღამოს რაიონის სახალხო თეატრმა ლუხვანოელებს უჩვენა რაზმაძისა და მახარაშვილის პიესა „პირველი მერცხლები“.

უცხოეთის ტრიბუნებზე

„სანტოსის“ დამარცხება

ბრიუმფალურ გამარჯვებებს მიაღწია წლევანდელი გასტროლების დროს ევროპაში ბრაზილიის ერთ-ერთმა საუკეთესო საკლუბო გუნდმა „სანტოსმა“, რომელმაც ორი თვალსაჩინო საერთაშორისო ტურნირი მოიგო („რესინგის“ ტრადიციული ტურნირი პარიზში და „იტალია — 1961 წელი“). საყურადღებოა, რომ პელეს კლუბმა დაამარცხა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ლისაბონის „ბენფიკა“ (6:3), პარიზის „რესინგი“ (5:2). იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი“ (2:0), მილანის „ინტერნაციონალე“ (4:1) და სხვა პირველხარისხოვანი გუნდები.

უე 04002

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.